



ქვეყნული
გაზეთი

X. ყოველკვირეული გაზეთი. X.

№. 42

კვირა, 13 ოქტომბერი 1902 წლისა.

№. 42

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვადის» რედაქციაში, სანთორის ქუჩაზე, № 35.
ტელეფონი № 734.
ფასტის ადრესი: Тифлисъ, Редакция «КВАЛИ».

შინაარსი: ემიღ-ზოლას დასაფლავება, Duprat-სა—ლეკსი, ი. ევდოშვილისა.—ორი წამი, ლექ შო—ნისა.—სხვა და სხვა ამბები.—ქუთათური ამბები.—გორესხანდენციები. რუსეთის ცხადრება.—საზღვარ-გარეთ—აღსარება, ესკიზი სპ. მტარაშვილისა.—ნახევრეკლები, ნახევრეკადისა.—ზინახკა, მთ. ა. ხეხვისა, თარ. სიმისა—ჭიათურის შავი ქვა.—თხ მეგობარო, უახ დამტოვე? ბედთან-მებრძოლისა.—შიღღერის ჰეკ. ძირ. თვისებანი ი, გომართელისა.—ჯანტ. მე-VI-სის კანონ. და ქართ. ქალი, ა. ხეხველისა.—წერილი რედაქციის მიმართ—განცხადებანი.—

ემილ ზოლას დასაფლავება

(ჩვენი კორესპონდენტისაგან).

De mortuis aut nihil-aut bene (მიცვალებულზე ან არაფერი ან კარგი უნდა ილაპარაკო). ასე ამბობდენ, მაგრამ ასე არ იქცევიან საფრანგეთის ნაციონალისტები. არ მოიძებნება ისეთი ქორი, რომელსაც ისინი არ ავრცელებდენ განსვენებული ზოლის შესახებ; არ მოიძებნება არც ერთი სიტყუე, რომელსაც ისინი არ იგონებდენ; ათას გვარი საზიზღარი ცილის წამებით და უსინიდისოთ მონაგონი ფაქტებით უნდათ შელახონ განსვენებულის დიადი სახელი... თუნდ ავიღოთ ზოლას სიკვდილის მიზეზი... თურმე ნუ იტყვი, ,,ჟერმინალის“ ავტორს თვით მოუსპია სიკოცხლე, რადგანაც სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია ის ყველა იმ ტალახსა და წუშვს, რომლებიც თურმე მან გამოიწვია თავისი რომანებით; თურმე ნუ იტყვი, ,,ოჯახის“ ავტორი მოუწამლავს თავის ცოდს, რომელსაც იგი ღალატობდა; ..J'accuse“-ის (გამტყუნებ) ავტორმა მოისპო სიკოცხლე საქვეყნო ,,Jem'accuse“-ის (თავს მტყუნავთ ვალვიარებ). ჩვენ შეგვეძლო მრავალთაგან უმრავლესი საბუთები მოგვეყვანა საფრანგეთის რეაქციონერების უსინიდისობისა, რომლებიც ამ მხრივ სრულებითაც არ ჩამოუვარდებიან სხვა ქვეყნის რეაქციონერებს.

გარდა ამისა ყველაზე უფრო მომაკვდინებელი ცოდვა ზოლასი თურმე იმაში გამოიხატება, რომ მას საფრანგეთის გარეთ—ყველა ქვეყნებში—ურიცხვი თაყვანისა და პატივისმცემელი ყავს. ძლივს ერთი მართალი წამოცდათ. დიხს, მართალია, დიდი ზოლას მნიშვნელობა საფრანგეთის გარეთაც.

კაპიტალისტური წეს-წყობილების განვითარებამ ყველა ევროპის სახელმწიფოებში ერთი და იგივე ეკონომიური დამოკიდებულობა გამოიწვია, აღიარებინა და განავითარა ერთი და იგივე კატეგორია ტანჯულთა და ჩაგრულთა, ერთი და იგივე მიზეზი აღამიანის საზიზღრობისა, სისაძაგლისა და ბო-

როტებისა... ზოლას რომანებს, განსაკუთრებით იმ რომანებს, რომლებშიდაც იგი თანამედროვე საზოგადოების სიღუბჭირეს განსაცვიფრებლის სინამდვილით აქვეყნებდა, ერთი და იმავე ინტერესით კითხულობდენ, კითხულობენ და კიდევ დიდხანს იკითხავენ, როგორც ფრანგები, აგრეთვე რუსები, როგორც გერმანელები, აგრეთვე ამერიკელები და სხვა და სხვა...

კაპიტალისტური წეს-წყობილების განვითარებასთან ერთად გავრცელდა უკიდურესი სილატაკე და უმუშევრობა, თავი იჩინეს უკმაყოფილებამ და პროტესტმა, რამაც ყველა ევროპის სახელმწიფოებში გამოიწვია და განავითარა ერთი და იგივე კლასიური ბრძოლა, შეიმუშავეს ერთი და იგივე იდეალი კაპიტალის ყველა წარმომადგენლებმა, ერთ გვარმა მისწრაფებამ შეაერთა და შეაკავშირა იგინი ერთმანეთში...

„ჟერმინალის“ ზოლა ყურადღებით მოეკიდა საზოგადოებაში არსებულ ლუკმა-პურისთვის ბრძოლას. ხოლო ,,შრომა“-ში და ,,ქემმარტება“-ში აშკარა თანაგრძნობა გამოუცხადა არამც თუ მარტო განსაზღვრული იდეების წარმომადგენელ კლასს, არამედ თვით ამ იდეებს. თუ როგორი ელფერი მიიღეს ამ იდეებმა ზოლას განსაზღვრულ კლასიურ შეხედულობის დარჯაკში გატარებულებმა, ამას ჩვენ აქ არ გამოუდგვით. ჩვენთვის აქ საყურადღებო მხოლოდ ისაა, რომ თვით მისი მწერლობის მოღვაწეობის ამ მხარეცაც დიდათ შეუწყო ხელი ზოლას სახელის განთქმას ყველა კაპიტალისტურათ განვითარებულ ქვეყნებში.

ამასთანავე როგორ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ზოლას გმირული საქციელი დრეცუსის საქმეში, რომელმაც ააღელვა და ააღაპარაკა მთელი ქვეყანა! ეს საქმეც რომ არ ყოფილიყო, სხვა მხარეები მისი მოღვაწეობისა მაინც უკვდავს ყოფდა მის სახელსა და დიდძალ თაყვანის მცემლებს მოუპოვებდა ყველა განათლებულ ქვეყნებში.

მიუხედავად ამისა ზოლას დასაფლავებამ ისე არ ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო. დასაფლავეს კვირა დღეს. კუბო მორთული იყო ყვავილებით და ურიცხვი გვრგვინებით. კუბოს ახლო მიდიოდენ განსვენებულის ახლობელი მე-



გობრები: ანატოლი ფრანსი, ოკტავ მირბო, სევერინი, ბრიუნო და სხვ. ცოტა მოშორებით „Лига правъ человека и гражданина“-ს გვირგვინის გარშემო შეკრებილიყვნენ დრეიფუსის საქმის გამოჩენილი მოღვაწენი: ლაბორი, პიკარი, პრესანსე, ჟორესი, ალმანი და თვით დრეიფუსიც; გაზეთ „L'Aurore“-სა და „La Petite République“-ის გვირგვინების გარშემო თავი მოეყარა მუშათა პარტიას (სოციალისტებიდან მხოლოდ ჟორესისტებმა მიიღო დასაფლავებაში მონაწილეობა). ჩრდილოეთის მხარემ გამოგზავნა სამი დელეგატი, რომლებიც თავ-თავისი პროფესიის ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი: ერთს ეცვა მჭედლის ტანისამოსი, მეორეს ნახშირის-მთხრელის და მესამეს მეურნისა.

წყნარათ და ღინჯათ მიდიოდა აუარებელი ხალხი. ეტყობოდა ჟორესს დიდი გავლენა ჰქონდა მათზე, ისე მშვიდად და აუშფოთებლათ მიიბიჯებდნენ. ხან-და-ხან აქა-იქ თუ გაისმოდა „საერთაშორისო“-ს სიტყვები, მაგრამ მალე ისევ იკარგებოდნენ საერთო სიჩუმეში. სიტყვები წარმოხტებდნენ: სახალხო განათლების მინისტრმა, მწერალთა საზოგადოების თავმჯდომარემ და ანატოლი ფრანსმა.

გათავდა დასაფლავების წეს-რიგი და ოცი ათასი ხალხი ისევ წყნარათ და მშვიდათ დაიშალა.

ნაციონალისტები, რომლებიც იმუქრებოდნენ, მოვალთ თუ დრეიფუსი მიიღებს მონაწილეობას დასაფლავებაშიო, არ ყოფილან, თუმცა დრეიფუსი კი დაესწრო. ნაციონალისტები ვერ მობძანდნენ, რადგანაც ისინი ამ ჟამათ იმდენათ დაუძღურებულნი და დასუსტებულნი არიან, რომ გვიკვირს რატომ უყურადღებოთ არ სტოვენს რესპუბლიკის მომხრე მთავრობა მათ მუქარებს! რატომ ასე თავგამოდებით იწვევენ თავის გარშემო ყველა რესპუბლიკელს თითქმის უიმისოთაც სრულებით დამარცხებული მტერთან საბრძოლველათ?..

Duprat.

* * *

მახსოვს მღეროდი და შავ თვალეზით
სხივებს ესროდი ჩანგს ათრთოლებულს;
ხან დაჰკენესოდი ცხოვრების ნალველს,
ხან უგალობდი წმიდა სიყვარულს!

ორივე იყო შენი მკერდის ქვეშ
ორივეს ჰქონდა მაშინ იქ ბინა,
იქ, სადაც ია მინაბულიყო,
შავ ქარიშხალსაც გადაერბინა!

გიცანი, მტრედო, ხმა იცნო გულმა...
მაგრამ, როს მთრთოლვარ ჩანგს დაჰყურებდი,
შენს გვერდით გული ჩანგათ მითრთოდა,
ეს კი, ლამაზო, შენ არ იცოდი!

ი. ველოშვილი.

ო რ ი წ ა მ ი.

(ეუბლენი თ...)

ზუზუნებს ქარი, ეგ შესაზარი,
და მას ბანს აძლევს სულ მთა და ბარი,
დამქეზარ-გამხმარი,
გვალვით დამწვარი
და ისმის ყველგან კენესა საზარი.
სად ირის ნამი, სად არის ცვარი?
სულს ლევს ბუნება, ეგ ცოცხალი-მკვდარი.

გრიანებს ქარი, შეუბოვარი,
და მას ბანს აძლევს სულ მთა და ბარი;

ჰა, მოახლოვდა,
ჰა, აგერ არი
და მოაქვს ჩვენკენ მას დილის ცვალი
ჰა გაიელვა...
ჰა ნიაღვარი!...
მორწყო, მონათლა სულ მთა და ბარი...
და ისმის მხოლოდ სიცილ-ხარხარი.

მო—ნი.

ს ს ვ ა - დ ა - ს ს ვ ა ა მ ბ ე ბ ი.

ხუთს ოქტომბერს თფილისის ხელოსნებმა გაგზავნეს საფრანგეთში სამძიმრის დეპეშა ემილ ზოლას გარდაცვალების გამო.

„ცნ. ფ.“ სწერენ, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო გადაუყვანიათ შორაპნის მაზრის უფროსათ.

გაზ. „ნოვოსტი“ გვატყობინებს, რომ მთავრობას საბოლოოდ გადაუწყეტია ბაქოში სამთო სასწავლებელი დაარსდეს. წელსვე შეუდგებიან ამ სასწავლებლის შენობის აგებას ეგრეთ წოდებულს „შავ ქალაქში“.

საქმე როდშილდის ქარხნის მუშებისა, რომლებმაც ამ წლის 9 მარტს არეულობა მოახდინეს, განსახილველათ დანიშნულია 25 ოქტომბრისათვის. ამ საქმეს გაარჩევს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია ბათუმში.

9 ოქტომბერს ბაქოს წავიდა კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი ბ-ნი რუგვეიჩი. იქ ამ დღეებში მთავრობის საბჭოს წევრის ბ-ნი მიკკევიჩის თავმჯდომარეობით განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა შეიმუშავოს ღონისძიებანი ნავთის ქარხნებში ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ.

მთავრობას, როგორც „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს, საბოლოოდ გადაუწყეტია განქორწინების საქმე სასულიერო უწყებას ჩამოართვას და საერო სასამართლოს გადასცეს.

„ქ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ უკვე მიიღო უგან. თავ. გრიგოლ ლევანის ძის დადიანის მიერ დატოვებული ანდერძი, რომლითაც განსვენებულმა საზოგადოებას 4500 მან. დაუტოვა.

თფილისის გუბერნატორს მოუთხოვია ქალაქის მოურავის მოადგილისათვის მთელი წარმოება ახალ ხმოსანთა არჩევნების შესახებ და აგრეთვე თვითონ ნამდვილი ვეტილობები იმ ამრჩეველთა, რომელნიც სხვის მაგიერ იყვნენ წარმომადგენლებათ.

შვიდ საკვირველებათა შემდეგ მერვე ადგილი უჭირავს ქართლში ქალაქ გორს. 29 სექტემბერს გორში კენჭი გააგორეს და გააშავეს ყველა, ვინც კი „სტაროსტობა“ ინდობა. 13 ხმიდან ყველამ ორ ორი მიიღო მხოლოდ თეთრი. ასე რომ გორელები ყველა ერთმანეთს გვანებია, ყველა თანასწორათ ყოფილა თეთრი და შავი; ყველას ერთმანეთი თანასწორათ ყვარებია და იმდენათ გულწრფელნი გამომდგარან, რომ თვისი თანასწორი უვარგისობა შეატყობინეს სადაც ჯერ არს...

ამ რამდენისამე დღის წინათ თფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე თფი-

ლისის მცხოვრების გიორგი მათეს ძის ფანიაშვილისა, რომელიც კნ. ანნა ზაქარიას ასულს ამილახვარს 200 მან. ეღადავებოდა. ფანიაშვილს მოუსურვებია, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე რაიმე ადგილი ემოვნა. თხოვნები, რომ ვერაფერს გამხდარა, მიუმართავს კნ. ანნა ამილახვარისათვის. კნ. ამილახვარი დათანხმებულა იმ პირობით კი, თუ ფანიაშვილი გასამრჯელოთ 200 მანეთს მისცემდა. ფანიაშვილს უმოვნია 200 მან., მიუტანია ამილახვარისათვის და ჩამოაურთმევია ბარათი. ამ ბარათით ამილახვარი ვალდებულია გამხდარა ემოვნა ფანიაშვილისათვის ადგილი. თუ ვინიციბა ამილახვარი ამ პირობას ვერ შეასრულებდა ფანიაშვილისაგან მიღებული 200 მანეთი უკანვე უნდა დაებრუნებინა. ეს პირობის წერილი ამილახვარს მიუცია ფანიაშვილისათვის ამა 1902 წლის 6 თებერვალს; მაგრამ დანაპირი ვერ შეუსრულებია და აღარც მიღებული 200 მან. დაუბრუნებია პიროვისამებრ. ამის გამო გიორგი ფანიაშვილს ბარათი მომრიგებელ-მოსამართლისათვის წარუდგენია. მომრიგებელმა-მოსამართლემ, განიხილა რა ეს საქმე, გადასწყვიტა გადახდეს კნ. ანნა ამილახვარს 200 მან. გიორგი ფანიაშვილის სასარგებლოთ. საქმის საწარმოებელი ხარჯიც ამას დაეკისრა.

ქუთათური ამბები

მწიფობისთვის პირველ რიცხვიდან ქუთაისში დაარსდა სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი; ამ თავით გაიხსნა პირველი კლასი ორი განყოფილებით. ინსპექტორათ დანიშნა ბ-ნი როსიკი, რომელიც თხოვნებს იღებს ყოველ დღე დილის თორმეტ საათამდე. ვაკანსია ას ათია (110). ეგზამენების დრო ჯერ არ არი დანიშნული.

მკითხველებმა იციან, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი შეეკითხა სამინისტროს, აქვს თუ არა ამ ბანკის თავმჯდომარეს, ბ-ნ მელნიკოვს, უფლება გააუქმოს გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ სხდომის დადგენილება (დამფასებლების არჩევნების უადღების გამო)? სამინისტროსაგან მოვიდა დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ბანკის ეხლანდელ თავმჯდომარეს სამინისტროსაგან მინიჭებულ უფლებით შეუძლიან დაარღვიოს გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტის დადგენილება.

ამ მოკლე ხანში ქუთაისში გაიხსნება მეორე საქალაქო სასწავლებელი, რომლის ხარჯიც სრულიათ სამინისტრომ იკისრა. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 35 თხოვნა შეუტანიათ. მასწავლებლათ დაუნიშნავთ გორის სემინარიაში სწავლა დამთავრებული ბ-ნი ქუთათელიძე. მომავალს კვირაში მოსწავლეების მისაღები ეგზამენებიც დაიწყება.

კორესპონდენციები

პიათურა. ვის არ გაუგონა და ვის არ უნახავს ამ რამდენიმე ხნის წინათ ჭიათურის მქუხარე ცხოვრება, მისი მუდმივი მდევარე მოძრაობა, მისი ძლიერი სმაურობა, რომელიც შორს, შორს სწვდებოდა და დიდ ურადლებასაც იპყრობდა, როდესაც მისკენ მრავალი ხალხი მოიკრებოდა სხვა და სხვა ქვეყნის, სხვა და სხვა ერის, რომელიც აქ, ჭიათურაში, ეძებდა თავისი მასწავლებლის თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, აი მაშინ სულ სხვას წარმოადგენდა ჩვენი ჭიათურა, ეს ჩვენი ზემა იმერეთის სამრეწველო ცენტრი. მაშინ გაუდამა ბედმა ქართველებსაც, სხვაც ბრძლიანი და უბრალო შავიქვის წარმოებას ეპატონებოდა, სხვაც ადვილი

შეიქმნა „განადრჩიება“, სხვაც შავი ქვის „ნასიხის“ ფასი დაეღა და გაჩნდნ ჭიათურებისაგან კერეთ-წოდებულ „ნასიხის“ ბრძანებებიც“ კი. მაშინ მოიხარადრებოდა და უფრო მწარმოებულთა უმრავლესობა ქართველებსაგან შედგებოდა. მათთვის სსურდადებოდა როდეს თამაშობდა ჭიათურის განუვითარებულ სამრეწველო ნიადაგზე. მაგრამ, სსურდებოდა, თურმე ბედმა არ დაუწერა ჭიათურის წვრილ-ფეხა მწარმოებლებს, ვითამ ამ „ქართველ ნარჩ ბურჟუაზიას“, ხანგრძლივი არსებობა, და გასაშლელათ გამზადებული ფრთები ძირიანათ შეკვეცა. ეწვია ჭიათურის მრეწველობას ძველამოსილი კრიზისი, რომელმაც ეველათურს თავისებური დადი დასსვა და მით ძირიანათ შეცვალა ჭიათურის ადგილებული ცხოვრება, შეახერა სსოციალათ წვრილ მწარმოებულთა ფუსიფუსი, კერძოთ დაარბია და დაქსაქსა „ქართველი ნარჩი ბურჟუაზიას“. დღეს თითქმის შეწვდა ეველათური, დაუწერა ჭიათურის არე-მარე, მოასხო ქუხილი და მდევარება. აღარ არის მშრამელთა ბრძოლა და კიყინი, ხანდა წარმოების ქარიშხალი, განქრა „ქართველი ნარჩი ბურჟუაზიას“ ნეტარ ხსენებული დრო, ირგვლივ გასმისთ წუწუნი, გასმისთ მწარე ჩივილი, უსსურდებოდა დღევანდელ მდგომარეობას, ელან მის შეცვლას, ზიზღით უუურებენ აწმეოს, სიამაგნებით იგანებენ წარსულს. ზოგი გაუდგა გზას, დასტოვა კ—ა, ზოგი დროს გამობრუნებას ელის და მამავალს შესწერებია, ზოგი ნელ-ნელა სულს დათავს. ამას წინათ ერთ შავი ქვის მწარმოებელს შევეკითხე, როგორ მიდის შენა წარმოება მეთქი, — „დევიდუბე, ვალეებში ჩავარდი, შინ მივდივარ ახლა, ცოცხა მოსვალს მაინც მიგინახავ, აქანა ტევილა თვალების გამაშტურებას მაინც აჯობებს მომიგო მან. და აი ქართველი მწარმოებელი, მომავალი „ნარჩი ბურჟუაზიას“ წვერი დღეს სამრეწველო ცენტრს ტოვებს დასოფლისკენ მიეშურება—ეგებ ექ მაინც არ ჩამოხრეს ცხოვრებას. განსაკუთრებით დღევანდელი ჭიათურის მდგომარეობას ერთი მხარეა ეველათუ უფრო სსურდადებოდა: ჩვენ სსხემა გვევს მუშა-ხალხი, სსოციალათების ის ნაწილი, რომელიც ჭიათურის მრეწველობის ცენტრალურ ბრძალს ატრიალებდა, ის დღეს უფრო გამწარეულია, უფრო სსიტე ბირობებშია მომწვედული და როდის განთავისუფლდება ასეთი მდგომარეობიდან? თუ რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ჭიათურას ეოკევი ეუთხიდან ასობით და, ათასობით აწვდებოდა მუშა ხალხი და აქ ავით თუ კარგათ თავის მწარე მოთხონილებებს იკმაყოფილებდა, დღეს ამ ხალხის მტირე ნაწილიც აღარ არის და რაცაა, იმის მდგომარეობაც გაუმჯობესების მსკიერ უკან მიდის. //წინეთ რომ მუშა დღიურ ხელფასს იღებდა, დღეს მის ნახევარსაც აღარ აძლევენ, რადგან მუშა ხელი ბევრია და მოთხონილებამ კი მეტათ იკლო. //მადარებიდან ჭიათურაში მარგანცის გადსატანი ფასი დაეცა და რასაც წინეთ ერთი მუშა (მადარეში მომუშავე) დღიურ ხელფასს იღებდა, დღეს მას ერთი მუშა ხალვადარი ცხენათაც ვეღარ იღებს. //წარსულ წლებში თუ ჭიათურის გზებში გვერდის ავლა გაკვირდებოდათ ქვით დატვირთული ხარ-ურმებისა და ცხენებისა, სხვაც ერთმანეთს ეჯახებოდნ სსწორხე მისწრების გამო, სსწორთან კი მუდამ ჩხუბი და სისხლის დენა არა იშვიათი მოვლენა იყო, დღეს აღარც ბევრია ვინმე შხიდავი და აღარც ხატოვცემული მწონელები წუხდებიან ბევრი შრომით, თავისებურათ ვეღარ შეათამაშებენ სსწორის უდლებს, რამ სსბრადო მუშის ნათელარით „ხეირი“ ნახან. დიან! ეველათური შეცვალა კრიზისმა, სხვა ეღეგარი დასდო მან ჭიათურას, მაგრამ არა, ჭიათურას სეღეხლებული შერჩა მისი სიბანძურეც. დარში მტვერით იხრჩობა ხალხა, ქუხებში გამდგარია კორიანტელი, ნაკავით მოფენილია ქუხები, მათი დაგვა ჯერ აქ არ შემოუღიათ, მგანი, თუ ვისმე მოგონდა და ვინიცობაა ნაკავს ერთათ მოუყარა თავი, გადამტანა აღარაა, მისი მონახვაა ძნელი, ამიტომ ზოკიერთი მეღექნათაგანა დაუგველობას არჩევს ხოლმე, როგორც ღეჭების წინა ნაწილისას, ისე შიგნით ღეჭებისასაც კი, სხვაც თვისუფლათ შედის და გამოდის დორების ჯარი თავისი

გოგობით. ესენი კი უფრო შურ-ღვინის დუქნებს ეტანებიან, ე. ი. სამიკიტნებს, და თუმცა არ ქეიფობენ, მაგრამ მაინც თავიანთი სტუმრობითი ზოგიერთ მიკიტნებს სიამოვნებას გვიან და ურთიერთ შორის თავიანთი განწყობილებით არსებობენ. ადრინდელ დღეებში კი გაჟღერდებოდა გზებში გავლა, ვიწრო ქუჩაში ჩადგობა ტალახი, უსწორ-მასწორ ალაგებზე დგობა ტბები და როდის იქნება რომ გამომავინდებს და დაშრება ამის მოლოდინში უნდა იყო. დროებით კითხუელი.

იქიდანვე. არა მგონია, სადმე ისეთ არა სასურველ მდგომარეობაში ამოფეხდეს შრომის წარმომადგენელი, როგორც ჭიათურაში. მიუხედავად იმისა, რომ მესამე შავი ქვის მრეწველთა კრებაზე გადაწყვეტილი იყო, როგორმე გაუმჯობესებიათ აქაური მუშების მდგომარეობა, ყოველივე ნაღამარაგვეი და განხრახნული ჯერ კიდევ დარჩენილა ხმათ მღადადებელისა უდაბნოს შინა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სამთო მუშაობის წესდებათა ყოველ მუხელში შეხედებით მწარმოებელთა ვალდებულებას, იქნინონ მუშებისათვის განსაკუთრებული შენობები; ამის შესახებ სამთო დეპარტამენტმა განსაკუთრებით საჯაროდ უწესდებოდა ვი გახდა. ჯერ-ჯერობით აქაური მწარმოებლებისთვის ეს წესები სრულებით უცნობი რამ არის და მუშების მეტი ნაწილი ზაფხულში კარეთ, ცის ქვეშ ათენებენ, ხოლო ზამთრობით შიგ მდარეობაში, რაც კანონით სასტიკათ აღკვეთილია, და დიდათი მანებელია მათი ჯან-მრთელობისათვის. ასეთი მაგალითები ვიცით ჩვენ, რომ მუშას, რომელსაც მადარობი ეძინა, დაეცა მისინარეს მადლიდან ჩამოსული ქვა და იქვე სული განთხევინა. მართალია, გამკვე მასუსის გებაში მიცეს, მაგრამ ამით უდროეთ გამოსაღებულს მუშას და მის ოჯახს რა შეეძინება? ასეთი უბედური შემთხვევების ასაცილებლათ საჭიროა ამ შეუწყნარებელ ნაკლულეკანებს ახლავე მიექცეს ურადლება ვისკანაც ჯერ არის, რომ ამ მხრით მაინც უზრუნველ იყოს მშრომელი, მით უმეტეს, რომ სხვა ნაკლულეკანებთანაც საზღვარი არა აქვთ. მათ შორის განსაკუთრებით ახანოს უქონლობა. მართალია შავი ქვის მრეწველთა საბჭო კარგა ხანია შეუდგა, როგორც ამბობენ, „შესანიშნავი ახანოს“ აქნებას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჯერ დასრულებას არაფერი ეშველა. როგორც ამბობდნენ, მაისის ბირველ რიცხვებში მზათ უნდა ყოფილიყო, მაგრამ აკურ სექტემბერიც დაიღია და ახანო კი ჯერაც არ ვიცით, როდის დასრულდება. მისი დაქარბება მით უფრო საჭიროა, რომ ზაფხულში მუშებს, როგორმე შეეძლოთ შავი ქვის ჭუჭყი მდინარეში ბანაობით მაინც მოეშორებინა, ზამთარში კი ამ სამუალებსაც მოკლებული არიან. არა მგონია საბჭო მადლობის დირსი იყოს იაფ-ფასისანი სასაღიდეების გაუმართავობისთვისაც, რომელიც მას კრებამ დაავალა. ნუ თუ ასეთი მეტათ საჭირო საქმისთვის დრო ვერ იშოვეს? არა მგონია, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ამასვე უფრო უმნიშვნელო საქმებისთვის მოულოდბენ დროს და ასეთი საჭირო საქმის უუურადლებით დატოვება, დიდ დანაშაულთ უნდა ჩათვალოს საბჭოს! ან იქნება ამ პატივცემულ ზირთ ის იმით, რომ რა კი ეს ისეი, უბრალო ხალხს შეეხება, როგორც მუშებია, ახვარიშს არაფერ მოგუთხოვსო. ეს შემედარი ახრია და იმედია ამ კითხვას საზოგადო კრებაზე უურადლებას მიატყვენ... თუ სასვებით ვერ შევიდებით აქაურის მუშების მდგომარეობათა გაუმჯობესობას, ამ აუცილებელ საჭიროებათა მხრით მაინც გაუმჯობესებელი იქმნას მათი მდგომარეობა. მხოლოდ ეს გაუმჯობესობა არ უნდა გამოახატოს მარტო ქადაგდზე აღნიშნით, არამედ სქმით უნდა განხორციელდეს. და ვგვალა ამასვე ზრუნვა ჩვენია მრეწველთა საბჭოს ბირდაპირი მოვალეობა. ა. კობიძე.

აუთიანი. დადგა ზამთრის სეზონი და ადგილობრივმა დრამატულმა დასამაც დაიწყო მოქმედება. ჯერ კიდევ ორი კვირით

წინ წარმოდგენების დაწყებამდის შეგვატეობინა აფიშება, რომ სხელებულ დასში ცენტრადენი ცვლილება მომდარეობდა. მისხურებული მსახიობი „სტრავაში“ გამოსულა. მისი დასი კი თფილისიდან ჩამოყვანილ არტისტებს დაუტყრიათ. ყოველი ახალი, ან-და განხლებული, იზიდავს ადამიანს. თავის ბირველ წარმოდგენასვე ქუთაისის განხლებულმა სცენამაც მიიზიდა საზოგადოება. არც ბარტრეში და არც ქანდაჩე ტევა აღარ იყო. თამაშობდნენ სუმბათაშვილის შინაარსის ბიკასს „ბორკილს“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა თათქმის მთელი დასი და მასთან თფილისიდან მოწვეული მსახიობი ბ. კ. ყიფიანი. მოსალოდნელი იყო რომ წარმოდგენა დირსეულათ ჩაიფლიდა, მაგრამ იმედები გავეცინოდა. ერთი და ორის თამაში, თუნდაც კენიოსური იყოს, სცენას ვერ დაამშვენებს. სცენის დასამშვენებლათ არ კმარა მარტო მოყვანილი ცხვირი ან ყუყუნა თვალები. სადაც მსახიობთ ერთმანეთის მხარის დაჭერა არ შეუძლიათ, იქ ახსაბლი ირდევვა და შთაბეჭდილებაც სუსტია. ამგვარი ნაკლულეკანება თავიდან დაფვა ჩვენს სცენას, რომელიც სამწუხაროთ უნიჭოთა თავმკისფარათ არის გადაქცეული. მას ერთათ გამოყავს ა. მესხიშვილი და მირიანაშვილი. ქ. ჩხეიძე და გივიშვილის ქალი. არც მეორეს ბირველის, არც მეოთხეს მესხის მხარის დაჭერა არ შეუძლია, და ისეთ დრამატულ სცენებში, სადაც ბირველები მთელ თქვენს არსებას იპყრობენ, მოჯადოებული ყავხართ, ამავე დროს მოკვსმით უკანასკნელთა „დრამატული ჩხვილი“ და თქვენი ილიუზია ერთიანათ ირდევვა. ან და მოხდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქ. გივიშვილისას მორთვენ 60 წლის ბებრათ, ივანაძის ქალს კი ოცი წლის „ბარიშნათ“ და უნდა უუროთ მამინ მოხუცის კისკის და ახალგაზდა ქალის ბებრულ მახვრა მოხვრას, სიტყვა მასუსნ! მარტო გარკვეული სხის გამოცვლა, ჭ ბარკის გაკეთება რომ კმარადეს, მამინ ხომ ბ. ბოჭორიშვილიც კი შესარულებად მეფე დირის როლს. ამგვართ მორთულ მოკაზმული არტისტები მსახიობთა კარიკატურა და არა მსახიობნი.

შედარებით კარგათ ჩატარეს თავიანთი როლები ბ. მესხიშვილმა — გიორგი ბრლობრივის, (განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში), ქ. ჩხეიძემ — ფლვა გარანინისა და ტ. აბაშიძემ — ანიკოსი. ბ. ყიფიანი — სერგი ვოლანცევის როლში და ნემო — დამლომატ ხვოროსტნევი თავიანთ ალაგას იუვენ. დანარჩენებს ვგვალს გზა-გვალს დახეობდათ.

„ბორკილს“ შემდეგ კიდევ ორი წარმოდგენა გაიმართა. არც ერთს ხალხი არ დასწრებია. თუმცა უმინაარსო ბიკებები დაიდგა („ახალ-გაზდა ქალის სიუჟარული“ და „უნდა გავიყარეთ“) მაგრამ თეატრის სივლიერე მარტო ამით არ აიხსნება. რაც უნდა კარგი ბიკებები დადგან, რაც კინდა კარგათ ითამაშონ, თეატრი მაინც ცარიელი დარჩება ქუთაისში, თუ ის უმრავლესობისთვის ხელ მისწვდენი არ არის, თუ ის მშრომელ ხალხს ვერ იზიდავს. რაც აქ სახალხო წარმოდგენების გამართვა დაიწვეს, (რომელმაც წელს ცენტრ ჩაიფერს) მას შემდეგ იმის თქმა არ შეგვიძლია, თითქმის ხალხი თეატრს არ ეკარებოდეს, არ ეკარება კი არა, სინარულით მიდის. მაგრამ მხოლოდ მამინ, როდესაც ის მისთვის ხელმისაწვდომია.

ქუთაისში რომ მუდმივი სახალხო თეატრი იყოს საკუთარის დასით, თამაშათ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი დრამატული დასი შამშილით მოკვდება, ვინაიდან მშრომელი ხალხი, წვრილი ჩინოვნიკობა, ქალაქში ახლათ შემოხიზნულნი, ნოქრები და მოსწავლეთა უმეტესობა სახალხო თეატრს მიამურებს. ვინდა დარჩა დრამატული დასს, ქუთაისის თეატრს? ვინ ჭ უმთავრესათ ქუთათური წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც ნაკლებათ აინტერესებს თეატრი. ის 50% ან შემოსავლით გატაცებული, კვირა უქმე დღე კი არა, ადღგობა დღესაც კი ვერ ტოვებს თვის ცინე დარბაზს, — „როთქას და ალაბს“, მამინაც კი დაკვეტილ დუქნის წინ ზის და დღესასწაულების მღე კათავებას დმერტს შევედრის. იქნებ ქუთათურმა არისტოკრატია — მისმა „ინტელაგენციაში“ გაავსოს თეატ-

რი? ტუყუილი იმედია! ის გარდა იმისა, რომ ვერ გავსებს, არც კი წყალობს თეატრს. მხოლოდ წელიწადში იქნებ ერთხელ წავიდეს და ისიც მაშინ, თუ კლუბში ვერ მთავრებს წასვლა. არის მეორე სახეობა მიზეზები, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი თეატრის სიცოცხლეს—ეს არის ბიუსების ერთგვარობა—ერთფერობა. ბოლოს არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ბ. ვ. ბაღანიაძის ჩვენი სტენდიან წასვლა (მიმდინარე სეზონში მანტი). მისი ადაგის დაჭერა იმერულ რეპერტუარში არც ერთს ჩვენი დასის მსახიობს არ შეუძლია, რაც ნათლათ დაგვანახავს ბ. ურუშიძის ნაძალადევის თამაშობამ არისტოტელის რეპერტუარში („ბუტიაობა“).

Parole.

მ. ფოთი. ფოთში საკმაოდ არიან მუშები; მათ უმრავლესობას შეადგენენ გურული გლეხები, რომლებიც, ვინ იცის, რა გაცივებასა და სიღარიბე-სიღატაკეს განმურეკია სოფლებიდან და კისერზე მძიმე შრომის უღელი დაუდგამს.

ფოთელი მუშები საზოგადოებრივ დაქვეითებულნი არიან გონებრივი განვითარებით და სწავლებითაც. დიდიანს სადამამდის შრომის ოფელში იწურებიან, მძიმე ტვირთ ქვეშ გმინავენ და ამ სიმწირით ნაშინი რაიმე გრძობს, ისეღობებენ თუ არა თავისუფალ დროს, სამიკიტნებში ფლანგავენ.

დღეს თითქმის უგელგანს, სადაც კი არიან მუშები, სწავლა განათლებას ეტანებიან და თავისუფალ დროს წიგნის კითხვას ან დამუშებენ. ფოთის მუშებში კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ან კი რა ქნან, როდესაც ბურის ქაშისა და ძილისათვის-და რჩებათ მცირეოდენი დრო, ხოლო დანარჩენ დროს კი სულ მუშაობაში ატარებენ. არის ისეთი დღეები, როდესაც 16 საათს მუშაობენ. ამ გვარ მდგომარეობაში ჩაგარდნილმა მუშამ როგორ უნდა იკითხოს წიგნი და ან რა საზოგადოებრივ საქმეში უნდა მიიღოს მონაწილეობა?! ნამეტულ ნავთსადგურზე მომუშავეთა მდგომარეობას აუტანელი მარგანეცის მუშების მდგომარეობასთან შედარებით, თუმიცა-და ამათი სამუშაო დღეც მეტათ გძლია.

ერთ-ერთი საშუალება მუშების განვითარებისათვის არის სახალხო ბიბლიოთეკა. მაგრამ აქ არ მოიძებნება არც ერთი ისეთი ბიბლიოთეკა, რომელსაც ფიქრით მაინც მოსდიოდეს ზრუნვა ამ საგნის შესახებ. ამიტომ ჩემი აზრით, უმჯობესია თვით მუშები აირჩივდნენ თავიანთ წიგნებს რამდენიმე შეგნებულ ბიბლიოთეკას, და მათი შემწეობით დაიარსებდნენ თავისთავის სახალხო ბიბლიოთეკას. აგრეთვე სახალხო თეატრს და სხვას, რაც კი ხელს შეუწყობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დასასრულად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნავთსადგურზე კამუბის დაცლისა და დარტყმის დროს იშვიათი არ არის მუშების სიკვდილი. მაგალითათ, ამას წინათ ერთმა მძიმე დატვირთულმა მუშამ დაიანდაგს ფეხი წამოჭრა, წიქცა და იქვე სული განუტყვა. რაგონ ასეთ შემთხვევებს უურადღებებს არ აქცევს, თითქო ადამიანები კი არა; ქათმები ისტებოდენ.

ლ. ესმაშვილი.

რუსეთის ცნობები.

30 სექტემბერს ბეტრბურგში იყო კრება იმ კომისიისა, რომელსაც თვით-მმართველობის რეფორმა აქვს მინდობილია. კომისიის თავმჯდომარეთ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კ. ფონ-ბლეკა. კრების დროს, სხვათა შორის, დახარჯა ჩამოკარდა ხმოსნთა არჩევნების შესახებ. დასახლავს საუმჯობესოთ სტნო ამომჩენველნი სამს კატეგორიათ იუვენ გაუფილი. სტასიულევიჩის აზრით კი უკეთესია არჩევნები უხნათ მიხედეს. რაც შეეხება სადგომების ხატრანთა მონაწილეობას, უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა, რომ სადგომების ხატრანთ ისევე, როგორც სახლის ხატრანთ, არჩევნების უფლებები უნდა მიენიჭეთ. კრების ახლოთ,

სადგომის ხატრანთა მონაწილეობა ქალაქის საქმეებში განხორციელებს საბჭოს მოქმედებას. საჭიროთ სტნეს აგრეთვე სხოსნთა რიცხვის გამრავლებას. ვადა ხმოსნისა ზოგჯერით უმრავლესობა აღნიშნული, მაგრამ კრებამ უფრო სასურველად მოხდა მოქმედებების სტნო. უველას ზემოთ ჩამოთვლილს გარდა უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა, რომ საბჭოში თავმჯდომარეობა სხვას მიენდოს და არა ქალაქის მოურავს. თავმჯდომარეს საბჭო უნდა ირჩევდეს.

თითქმის 20 წელიწადია მას აქეთ, რაც მთავრობამ საკლუხო ბანკები დაარსა. ეს ბანკები იმ მიზნით იუვენ დაარსებულნი, რომ მათ უნდა გაეადვილებია შეუძლო გლეხებისთვის მიწების შეძენა. ბანკების მოქმედების შესახებ ბევრი სხვა და სხვა აზრი ტრიალებს საზოგადოებაში («Московскія Вѣдомости»; იმისაც კი გაიძახიან, რომ ბანკებს ცუდი ზოლიტიური გავლენა აქვთ გლეხებზე).

ამ განათ ზოლიტის სასტატისტიკო ბიურომ გამოსცა საკლუხო ბანკების მოქმედების 18 წლის ანგარიში. (1883—1900) ზოლიტის გუბერნიის ამ მხრივ ფრიად საინტერესოა, რადგან ხან იქური გლეხები სხვა გუბერნიის გლეხებზე უფრო მეტს სარგებლობდნენ საკლუხო ბანკებით და ამის გარდაც მიწის სივიწროე იქ უფრო მეტია; ვიდრე სხვაგან.


ბანკების დახმარებით ზოლიტის გუბერნიის მცხოვრებნი უკველ-წლივ იძენდნენ 9,296 დესიატინა, ანუ 24,792 ქრუკა მიწას, ხოლო 18 წლის განმავლობაში შეუძენიათ 170,000 დესიატინა, ანუ 456,296 ქრუკა.

ბანკის დახმარებით მხოლოდ ზოგჯერით მცხოვრები იძენდა მიწებს. სულ მიწა შეუძენია 34,239 კომლს (90% მთელი მცხოვრებისა), რომლებიც სხვებით შექლებულ გლეხობას ეკუთვნის. როცა ამხანგობა ეიდულობს მამუღს, აქაც მიწა ერთხანით არ ნაწილდება ამხანგობის წევრთა შორის; აქაც შეძლებული გლეხი მეტს ღებულობს, რადგან საკუთარ ფულსაც უმეტებს და თან დარბებობსაგან ზეის ეიდულობს ხოლმე. მართალია დარბობ სოფლის საზოგადოებასაც ეიდულობენ მიწებს ბანკის დახმარებით, მაგრამ ბანკი მათ უმრავლესობას (70%) უკანვე ართმევს მიწებს, რადგანაც სარგებელი თავის დროზე ვერ შეაქვთ. ეს არც კასაკვირია. ბანკი, როგორც კომერციული დაწესებულება, ესმარება მხოლოდ იმათ, ვისაც ვაღის გადასთა შეუძლია, და არა დარბობლტაკებს. ამხანგათ სარგებლობის მაკიერ ბანკს დარბებობისთვის ზარადიც მოაქ, კინაიდან მათ ერთმუვეთ სამკალება დიდი შემამუღლებობსაგან ადგილი იჯარით აიღონ და ან მათ მამუღებში ქირით იმუშაონ.

შეძლებულთა ამხანგობა შემამუღლებსაგან ნაყიდ მიწებს ან თვითონ მუშაობს და ან იჯარით აძლევს ისეთი ზირბობით, რომ დარბობ მცხოვრებლებს მთლათ იმხანგებს.

სახლგარე-გარეთ.

გერმანია. დამოუკიდებელი შრომა ქალებისა გერმანიაში. საზოგადოებრივი ურთიერთობათა ევოლუციამ თვით არსებობის დასაცველათ ქალებიც გამოიყვანა გერმანიაში საზოგადო ასპარეზზე. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ დამოუკიდებელ ქალთა რიცხვმა გერმანიაში 6,577,000-მდე მიაღწია, რომლიდანაც 2,753,000 სამკურნეო საზოგადოებაში იმყოფება 1,551,000 სახლში მოსამსახურები არიან, 1,579,000 მრეწველობას სწირავს თავის ძალ-ღონეს, 580,000 ვაჭრობს და 174,000 ქალი მსახურობს სხვა და სხვა თავისუფალ პროფესიონალურ დაწესებულებებში. უმრავლესი რიცხვი ქალებისა, რომელნიც ეძებენ თავის ცოდნის შესაფერ ალაგს, ეკუთვნის დარბობ კლასს. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს შეძლებულ



ქალთა შორისაც აღიძრა სურვილი დამოუკიდებელი ცხოვრებისა. ოჯახის ვიწრო ფარგალში მოღვაწეობამ ვერ დააკმაყოფილა თვით ჩვეულებრივი გერმანელი ქალიც კი, რომელიც უფრო ფართო ასპარეზს ეძებს.

დამოუკიდებელ ქალთა რიცხვის გამრავლებას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მამა-კაცები ამ ბოლო დროს გაურბიან ცოლის შერთვას. გამოანგარიშებულია რომ უცოლო მამა-კაცების რიცხვი 30—50 წლამდე 15% მეტს შეადგენს.

ოსმალეთი. სულთანის ბრძანებით გაჩნდიკეს მახმუდ-დამატი ფაშის ძმისწულის სადი ეფემდის სახლი. იპოვეს აღკრძალული ქალღმერთები. სადი-ეფენდი ჩასვეს დახურულ ეტლში და სადღაც წაიყვანეს. ამბობენ იმავე ღამესვე ის ბოსფორში გადააგდესო.

ერთ ოსმალურ გაზეთის უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია წერილი ტრიპოლის შესახებ: „შინაური ადმინისტრაციული წეს-რიგის უფარვისობა და გარედან ზოგიერთების სურვილი ტრიპოლის ხელში ჩაგდებისა მალე გამოაწირავს ამ ადგილს ოსმალეთს. ტრიპოლის ბაზარზე დღეს ინგლისელები მეფობენ. საზღვაო ტრანსპორტი თითქმის მთლათ იტალიელების ხელშია. ოსმალეთის მთავრობას ამ პროვინციიდან არავითარი სარგებლობა არა აქვს. შემოსავალი ძლივს-ძლიობით ფარავს ადგილობრივ საჭიროებათა ხარჯებს. ეს არც საკვირველია, რადგან მთავრობა არავითარ ზომებს არ ხმარობს ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობისათვის. არავითარი რეფორმები არ არის შემოღებული. გზები და სადგურები ისეა გაფუჭებული რომ თვით მთავრობასაც კი მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში შეუძლიან გაიგოს რამე სხვა ქალაქიდან. ხალხის განათლებას არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. მიწის შემუშავება პრიმიტიულია. ხალხი დაბეჩავებულია და გაათხსირებული მთავრობისაგან.“

არავისთვის არ არის დაფარული, რომ იტალია ღიდი ხანია იღესავს კბილებს ტრიპოლის ხელში ჩასაგდებათ. ასეთივე განზრახვა აქვს საფრანგეთის მთავრობის მოქმედებასაც. ადგილობრივი მცხოვრებლებიც ღელავენ. მთავრობა აწუხებთ მათ მეთაურთ ქრთამებით. ამას წინეთ ამბობება მოახდინა რამდენიმე თემმა, რადგან ხარჯის ამკრეფნი მეტის მეტათ სასტიკ ზომებს ხმარობდენ.

ტრიპოლის ხელში ჩაგდება იტალიის მიერ არ იქმნება სასარგებლო საფრანგეთისათვისაც. იტალიის კოროლს კი ღიდი სურვილი აქვს ამისი. ვინაიდან ემიგრაცია თან და თან მატულობს, მშვიერი პროლეტარი ღელავს. გაფიცვას გაფიცვაზე ახდენენ. იტალიის მთავრობა ამ კოტრობის დროსაც კი ღიდი ძალ ფულს ხარჯავს მხედრობაზე. უკეთესი არ იქნებოდა ეს ფული მოეხმარებინა თვისი ხალხის ტკივილების დასაყუჩებლათ? ან ვინ უშლით უცხოელებს ოსმალეთში სამუშაოთ მოსვლას? დასძენს გაზეთი.

ა ლ ს ა რ მ ბ ა.

(ესკიზი)

... წვიმა ნაღვლიანათ შემომსისინებს, არე-მარე შავ ბურუსს მოუცავს, ქარი სევდის მომგვრელა ზუზუნით დაქრის ტიალ მინდორში, ხან გიჟური ხარხარით დაქტაკება მინდვრის ბოლოში გადმოყუდებულ ცხვირ-პირ დამსხვრეულ კლდეს, ხან დაქრილი ადამიანის კვნესით გაეკვრება მინდორსა და ტირის, ტირის, და მე კი მგონია, რომ სადღაც შორს, ჩემი გულის ერთ-ერთ კუნჭულში ვიღაც უცნობი, მაგრამ ჩემი ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ მუდამ განუშორებელი, ადამიანი მიმჯდარა იქ და მწარეთ, მწარეთ ქვითინებს

მეთქი, ხან შორდება ქალაქის განაპირას, მიდის შუა ქალაქში და იქ—„ეესტის“ სახურავზე გაწოლილი—სტვენს, საზარლათ სტვენს.

მეგობარო! შენ სად ხარ ამ დროს? სწორეთ ამ დროს, როცა წვიმა ასეთ ნაღვლიან ხმაზე მღერის თავის სიმღერას, როცა ქარის ღმუილი ჩემსავე გულში ჩამჯდარი ადამიანის ქვითინი მგონია, როცა არე-მარე ასეთი შავი ჯანლით არის მოცული, სწორეთ ამ დროს მჭირიხარ მე შენ!

მაშ სადა ხარ სადა, შენ, ჩემო მეგობარო? ღამდება. შავებში გახვეულმა ღამემ გააკეთა წრე და ყოველი მხრით აწვება ჩემს ოთახს. ის მოდის, თანდათან უახლოვდება მას, კიდევ რამდენიმე წამი და ჩემი ოთახი უკუნეთ ბნელში ამოყოფს თავს. დაღამდება. ყველა ოთახებში გაიღიმებს მხინრული სინათლე. ოჯახი ბედნიერით თვალებით შეხედავს თბილ კერას, გუზგუზა ცეცხლი ტკაცუნით გამოეხმაურება ადამიანებს. ქმარი ალერსით ჩახედავს თავის ცოლს თვალებში, ცოლიც თამამი თვალებით გაუსწორებს მას თვალს და პაწია, უცოდველ ბავშვს გულში ჩაიკრავს—შეეშინდება ქმარმა არ გამომტაცოს ხელიდან ეს ბედნიერებაო. ძუნწი რამ არის დედა! იმას ქმრისთვისაც კი შურს შვილის ალერსი, იმას არავინ არ უნდა მოზიარეთ ამ საკუთრებაში... ეჰ, გაიყავით, გაიყავით გეთაყვა თქვენი სიმდიდრე, ნუ ხარბობ შენ, ბედნიერო დედავ, შვილი შენია, ვეოავინ წაგართმევს! რა გენაღვლება მამაც მიეალერსოს თავის შვილს?.. შენ იმითაც ბედნიერი არა ხარ განა, რომ ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ მოგძულებია შენი შვილი და მე კი ვიცი დედა, რომელსაც არა ერთხელ წამოკიდენია მომაკვდინებელი ცოდვა:

— რა უბედურ დღეზე გამიჩნდი შენ!.. შენ ამბობ ამის მთქმელი დედა ჩამოსახრჩობიაო. ეჰ, კეთილო ადამიანო, ასე უცბათ ნუ დაასამართლებ ადამიანს! განა იმას კი არ უყვარდა თავისი შვილი? განა იმას კი არ უნდოდა ჩაეკრა ის გულში? განა იმას არ გვრიდა ტანში ნეტარების ჟრუანტელს, როცა მისი პაწია, თავის პაწაწკინტელა ხელებს მოუფათურებდა სახეზე? განა ის არ ჩაშტერებია თავის შვილს თვალებში, დიდხანს, ღრმათ არ ჩაშტერებია? განა ამას შემდეგ არ დაკონებია ის თავის შვილს და მხურვალე კოცნით არ ამოუწმენდია იმის თვალები? ოღონდაც რომ კი, ბედნიერო დედავ, მაგრამ... მაგრამ როდესაც შენ მხურვალე კოცნით თვალებს წმენდ შენ შვილს, როცა შენ იმის ხელების ფათურზედ ნეტარების ჟრუანტელი დაგივლის და თავ-დავიწყებით ჩაეკონები შენ შვილს, შენ ამ დროს ნეტარების ღიმილი გიქრის ბაგეზე, შენ ღღესასწაულობ და ის კი სწორეთ ამ დროს, ასეთ შემთხვევაში ტირის... ტირის დაკარგულ ქალწულობას, ტირის ადამიანის შეურაცხყოფას, ტირის შეგინებულ გრძნობას, შელახულ დედობას, ტირის რომ... ის უკანონო დედაა! თუ სადმე ადამიანის ცრემლი იკრებს თავსა, თუ სადმე შეურაცხყოფილთა და დამდაბლებულთა კვნესა არის შეგუბებული—იქ ბედკრული დედაცის ცრემლსა და კვნესას საპატიო ალაგი ექნება დათმობილი და თუ ოდესმე აივსო ეს „მოთმინების ზღვა“, თუ ოდესმე გადმოლახა ის მაღალი კედელი რომელსაც ადამიანის გულცივობას და გულქვაობას ეძახიან, მაშინ დააკვირდით ვინც მოესწროთ ამ ბედნიერ დღეს—ერთ-ერთი იმ ძლიერ ნაკადულთაგანი, რომელიც იმ დროს გადმოხეთქავს, იქნება დედაკაცის ცრემლი, ის იქნება მღულარე რომელიც სხვა ნაკადულებთან შეერთებული ყველაფერს მოსწვავს დედამიწაზე, და ნიადაგს მოუმზადებს ახალ ცხოვრებას... დიახ, დიღია ღიდი უსამართლობის დანაშაული ქალის წინაშე!.. დიახ, უკანონო დედაა ის დედა და მოიცა, კეთი-

ლო ადამიანო, უცბათ ნუ ასამართლებ დაშნაშავეს! კარგი მსაჯული მხოლოდ ის არის, ვინც ბრალდებულისათვის მეტ გამამართლებელ საბუთებს ეძებს და მე არ მინდა რომ კარგი დედა ცუდი მსაჯული იყოს...

ღიახ, დაღამდება... შეყვარებული ადამიანი აიღებს წმინდა ფოსტის ქაღალდს და ზედ ლამაზათ გამოხატავს: „ჩემო ძვირფასო №, №“! ერთს დაფიქრდება: შეიძლება უფრო მეტის გამოხატველი სიტყვებით დავიწყოგო იფიქრებს; იფიქრებს და ისევ დატოვებს პირველ ფრაზას. ის მიწერს თავის სატრფოს წერილს, მხურვალე ალერსით სავსე წერილს, ჩადებს შიგ თავის გრძობას, თავის სიყვარულს, თავის სულსა და გულს, აუწერს თუ როგორ იტანჯება უიმისოთ, თუ როგორ ჩაეკონება გულში, როცა შეხვდება, თუ რა მოუთმენლათ მოვლის იმ სანატრელ წამს, როცა ისინი... ეჰ, ვინ იცის თუ რამდენ სისულელეს დასწერს სიყვარულით გატაცებული ადამიანი!.. მე თუმცა არტიტი არა ვარ, მაგრამ ხანდახან ძალიან გამიტაცებს ხოლმე როლი. და აი ამ სისულელის წყალობით მე ერთ საღამოს, როცა, როგორც დღეს წვიმა ნალვლიანათ შემომსისინებდა ფანჯარაზე, როცა არე-მარე შავი ბურუსით იყო მოცული, როცა ქარი გულმოკლულათ ზმუოდა არე-მარეში და მე მეგონა რომ ის ჩემ გულში ჩამჯდარი, ვიღაც უცნობი, მაგრამ ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ განუშორებელი ადამიანი ქვითინებს მეთქი, ასეთ საღამოს უცბათ ჩემი თავი წარმოვიდგინე შეყვარებულათ, მივუჯექი სტოლს, რომელიც დამქირდებოდა—საწერის სტოლის მაგიერობას მისრულებდა, დამქირდებოდა—საქმელისას და ღამ-ღამობით კიდევაც ვწვებოდი ზედ,—მივუჯექი ამ სტოლსდა ერთ ნაცნობ ქალიშვილს მივწერე მხურვალე წერილი. არა, კვებნათ ნუ ჩამომართმევთ და ბევრი ვერ დასწერს ასეთ წერილს, ეს ნამდვილი პოემა იყო, მაგრამ თურმე თავი გამომჩინებოდა, დამეფიწყებოდა იმის მიწერა, ბლომათ მიჩხრიალებს თუ არა ჩემ ჯიბეში გროშები, და ამის გამო ღირსეული პასუხიც მივიღე:

— როგორ ბედავ შენ, ბრიყვო! აი სიტყვა სიტყვით პასუხი ჩემ წერილზედ.

ეჰ, მართლაც რო ბრიყვი ვარ—აქ რა მოსატანი იყო ეს სულელური ამბავი!

ჰო, დაღამდება... შეყვარებული გაათავებს წერას, ჩადებს კონვერტში, დაწერს ადრესს და თვალზე მიბნედილი დიდხანს, დიდხანს დარჩება ერთ მდგომარეობაში. არც რამეს ფიქრობს, არც რამეს გრძობს. არ ესმის რომ წვიმა ისე სვედიანათ სისინებს, თითქოს შემოსვლას იხვეწებოდეს, არ ესმის ქარის ზუზუნი და არც გონია ის მის გულში ჩამჯდარი ადამიანის ქვითინი! ბედნიერი შეყვარებული!..

იმას სრულიათაც არ ახსოვს ეხლა, რომ გარეთ, ამ სიბნელეში, ამ ცივ დარში, ერთი ფარაჯაში გახვეული ბებერი დადის და დრო გამოშვებით თავის მსხვილ-თავიან ჯოხს არაკუნებს ქვა-ფენილზე... არაკუნებს და თავის ბოლოს გაედება კარები, იმას მისცემენ რვა მანეთ-ნახევარს კაკუნისთვის...

არა, არ შემეცდარა ის ჩემი „სატრფო“, მართლაც რომ ბრიყვი ვარ, აბა ერთი მიხარით, რა ედარდება ბედნიერ შეყვარებულს, რომ ქუჩაზედ ვიღაცა ბებერი აკაკუნებს!

დაღამდება... ყველა ცდილობს შეძლების და გვართ ბედნიერათ იგრძნოს თავის თავი, ყველა ცდილობს რაიმე ამბავით გაართონ, დაამშვიდონ წერვები, ბებია ათასნაირათ აუწერს შვილი-შვილებს ნაცარქექიას ეშმაკობას და მეც ვცდილობ, მეც მინდა რაღაც...

მეგობარო, შენ სად ხარ ამ დროს?

მეც კაცი ვარ ღმერთმანი! მეც ისეთივე ხელები მასხია, როგორც სხვებს, მეც ისევე ვლაპარაკობ და დავდივარ, რო-

გორც სხვები. ამიტომ მეც, როგორც სხვებს, ხანდახან მომინდება ხოლმე რომ შეყვარებული ვიყო, ვიჯდე სადმე ბალის ბნელ კუნჭულში, გვერდში ვინმე ნაზი მასტან მყავდეს, მელერსებოდეს, მეტიტინებოდეს სხვა-და-სხვა მოსტინელებს, სხვა-და-სხვა არ არსებულ საგნებზე, რომლებიც ისე ბლომათ ფუსფუსებენ შეყვარებულის ბედნიერ თავში... მეც მინდა მყავდეს მეგობარი, ერთგული, საიმედო მეგობარი, აი ასეთი, რომელიც, როცა წვიმა შემომსისინებს ნალვლიან სიმღერას, როცა არე-მარე შავ ბურუსშია გახვეული, როცა ტიალ მინდორში ქარი ღმუის და მე კი მეგონია, რომ ეს ჩემ გულში მიმჯდარა ვიღაც და მწარეთ, მწარეთ ქვითინებს მეთქი—რომელიც ამ დროს მოვა ჩემთან, მხარზე ხელს ჩაომადებს, გამამხნევებს და მეტყვის:

— მეგობარო, ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია! გამოვა დარი... იმედი და სულ იმედიო!

ღიახ, მეც კაცი ვარ, ღმერთმანი!.. მაშასადამე მეცა მაქვს გრძობა,—წინააღმდეგ ჩემ ნაცნობთა და ნათესავთა მე საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ მეცა მაქვს და მერე რა დიდი დარდი!..

როცა ერთმა ჩვენმა მეზობელმა დიპლომაინმა თავის განათლებულ გონებაში განსხვავება ვერ ნახა თავის ცოლის ზურგსა და „დარაბანდს“ შორის და დილიდან საღამომდე ყური გამოგვიქვდა ამ ახირებული „დარაბანდის“ ხმით, მთხოვეს:

— შენ მაინც არაფერი დარდი ეაქვს კაცი, დაგიტოვე ალაგიდან თუ არა—შენთვის სულ ერთია, ცოლი არ გაწუხების და შვილი, მამ მოდი ღ დასწერე რამე ამის შესახებო!

მე დავამტკიცე რომ ეს არ იყო ჩემთვის სულ ერთი. მკითხველმა იცის რომ არაფერი დამიწერია და არც დაწერ, არც დაწერ... ის ექიმია, იმას უმაღლესი სასწავლებელი გაუთავებია, ის ცოლს სცემს, ის გავლენიანი კაცია, ის მომერევა, არა, არ დაწერ, არ დაწერ... დაე სცემოს თავის ცოლს, დაე მთელი ღამეები გამიტეხოს საცოდავი ქალის ქვითინმა, დაე იყვირს ბატონმა თიბლომიანმა, მე არ დაწერ, არ დაწერ!.. სრულიადაც არ მინდა ამ ჩაზამთრებაზე გამიძახონ კარში! დაე რაც უნდა ქნას მის ოჯახში, ის თავის სამფლობელოშია, თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ეს უფლება მას კანონმა მიანიჭა, მე არ მინდა შევეხო უფლებას!

თქვენ მთაღნი ხართ, თქვენ ყველაფერი გაშინებთ, თქვენ გეზოზღებთ მისი საქციელი, მაგრამ მაინც გინდათ მისი ხელის ჩამორთმევა, იმიტომ რომ ის ექიმია, ის დიპლომაინი, გავლენიანი კაცია... და ისიც გინდათ რომ სხვისი ხელით ნარი მოგოიჯოთ!.. თქვენ ბატონებო კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადამხტარი ბაყაყიც კი ავიტეხთ გულის კანკალს და მე კი მაქვებთ,—არა, არ დაწერ, არაფერსაც არ დაწერ!..

„დაწერე, დაწერე“!.. მიბრძანდით და დაწერეთ თუ ასე გაღელვებთ უსამართლობა! აღიას დარდი ფლავიო და აღიასაც ფლავი უნდა მოენახა, თუ ის შეადგენდა იმის სადარდელს.. ჩემი დარდი ეხლა ჩემი ოც-მანეთიანი ალაგია და იმისთვის ვწუხვარ... ჰო, ხომ დავამტკიცე, რომ მეც მქონია დარდი? იმედია შემდეგში აღარ გაიმეორებთ მაინც მაგას. ხომ ხედავთ რა ნალვლიანათ სისინებს წვიმა; ხომ ხედავთ რა გულსაკლავათ ზმუის ქარი ტიალ მინდორში?.. ეს მე მათრთხილებენ:

— არ შეცთე, ალაგი არ შესწირო, თორემ ჩვენი კერძი შეიქნებია!..

არა, არ დაწერ, არფერსაც არ დაწერ!..

ჰო, მეც კაცი ვარ ღმერთმანი!.. და მეც მინდა რომ ეს

ალავი შემჩნეს, არ დაგეკარგოს, მეც მინდა ვიცოცხლო და ვიარო ამ ქვეყანაზედ, მინდა ჩავყლაპო წმინდა ჰაერი, მინდა ლოგინზე დაწვე და სტოლი გავანთავისუფლო. დიახ, მინდა და კადეც მივალწვე ამ მიზანს. დღეს არაფერს დავწერ ბატონ ექიმზე, ხვალ გაუჩუმდები საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ფულებს უგალობს ჰიმნს, ზეგ იუდა ისკარიოტელს ვეტყვი „რქს“, დავლევ იმის საღვთაძელოს და შიგ შუა ტუჩებში ვაკოცებ. მეც თქვენსავით მოვიქცევი, მეც თქვენსავით ვივლი და აღარ მომაქცევინ ყურადღებას? დიახ, ასე მოვიქცევი, ვინაიდან ადამიანს სჭირია სიცოცხლე, სჭირია სასუნთქავი ჰაერი, სჭირია ქამა, სმა...

მეგობარო, შენ სად ხარ ამ დროს? რატომ არ გამამხნევებ, რატომ არ შემომიდგები მხარში, რატომ არ შემიმსუბუქებ მძიმე ტვირთს, რომელიც ვიკისრე?.. რატომ ჩემო მეგობარო, რატომ? განა ამ გზაზე შემდგართ არა ჰყავთ უთვალავი მეგობრები? მაჴ, რატომ მე შევადგენ გამონაკლს?

წვიმა ნაღვლიანათ შემომსისინებს, არე-მარე შავ-ბურუსს მოუცავს, ქარი სევდის მომგვრელი ზუზუნით დაქრის ტიალ მმდორში, ხან გიჟური ხარხარით დაეტაკება მინდვრის ბოლოში გადმოყუდებულ ცხვირპირ დამტვრეულ კლდეს, ხან დაქრილი ადამიანის კვნესით გაეკვრება მინდორსა და ტირის და მე კი მგონია, რომ სადღაც შორს, ჩემი გულის ერთ-ერთ კუნჭულში, ვილაც უცნობი, მაგრამ ჩემი ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ მუდამ განუშორებელი ადამიანი მიმჯდარა და მწარეთ, მწარეთ ქვითინებს მეთქი...

მეგობარო! შენ სად ხარ ამ დროს?

სპირდონ მცირიშვილი.

ნაკერძკლები

ჯახები—ბატონები და ჯახები ეურ-მოჭრალი შინაყმანი.—ფაშის ჯარი.—იმავე ფაშის საქმენი სარაკენი.—„Подлежить возврату“.

ჩვენი საზოგადოების დამყაყებული ნაწილი ორათ განიყოფება: ერთ ნაწილს ეწოდება „ჯახები—ბატონები“ და მეორეს—„ჯახები ყურ-მოჭრილი შინაყმანი“. პირველთა რაოდენობა თითებზე ჩამოითვლება, მეორეთა რიცხვი კი საგრძნობელია. თითო-თითო ჯახი—ბატონი ყველა ქალაქსა ყავს. ყავს თფილისსაც, ქუთაისსაც, ბათუმსაც, ქიათურასაც და, ასე გასინჯეთ, წყალ-წადებულ ოზურგეთსაც კი! „ჯახი—ბატონის“ მოვალეობაა: იზრუნოს თავის მუცლისათვის, თფილს ადგილს აჯდეს თავზე და ისე მოახერხოს ეს, ისე მოაწყოს საქმე, რომ „ზრუნვა თავის მუცლისათვის“ საზოგადო საქმეთ, სამშობლოს საქმეთ გამოიტანოს და თავის თავი „დიდ მოღვაწეთ“, დიდ მემორათ მოაჩვენოს საზოგადოებას. მეორე ნაწილის — „ჯახებ-შინაყმების“—მოვალეობა კი იმას შეიცავს, რომ ემსახურონ ჯახებთ მათ „ჯახ-ბატონს“, იარონ „ჯახ-ბატონის“ ქეიფსა და სურვილზე. სიცოცხლს ვერ იმაგრებთ, როცა საშვალო ტანის კაცის—ჯახ-ბატონს—ხელში უჭირავს „ტროსტათ“ ჯახი—შინაყმა—მაღალი, წელში მსხვილი და ბეჭებში ფართო ვაჟაკი და სადაც უნდა, იქ ააყუდებს, სადაც უნდა, ტალახში თუ მშრალზე, იქ დაიბიჯებს! და ანაირათ მიდის ჯახ-ბატონი ჯახ-შინაყმების შემწვობით თავის გზაზე. ჯახი—შინაყმები კი, მათდა სასახელოთ, საუცხოოთ ასრულებენ თავის მოვალეობას: ჯახ-ბატონისათვის თავს დადებენ, იბრძობებენ, იფართო-ფურთებენ, დაჰკრავენ ბუქსა და ნალარას, იყვირებენ და, თუ საჭირო იქნება, იტირებენ კიდევ, რომ ჯახი-ბატონი არავინ დაძრას თფილი ადგილიდან, ეჭვი არავინ შეიტანოს მის „დიად მოღვაწეობაზე“. როგორც ხედავთ—ჯახ-შინაყ-

მების მოვალეობა ძალიან რთული მოვალეობა ყოფილა, ძალიან ძნელი ასასრულებელი, მარა, სამაგიეროთ, ესეც მომგებლიანი მოვალეობაა: ჯახ-ბატონის მოწყობებს ჯახ-შინაყმებს არაოდეს არ მოაკლდება, თფილ ადგილზე დასჯებულს ჯახ-შინაყმებისათვის ყოველთვის აქვს გემრიელი ლუქმა გადასადებლად. და აი, მაგ., დადგა ჟამი გასაჭირისა: ჯახ-ბატონის მოღვაწეობას იქვის თვალთ შეხედეს და მონდომეს თფილ ადგილიდგან მისი ჩამობრძანება. ჯახი-შინაყმები მაშინვე ჯახ-ბატონისაკენ გაემურებიან, რომ მიიღონ მისი ლოცვა-კურთხევა და შეუდგენ „სამშობლოს ხსნას“, ე. ი. იმას, რომ ჯახი-ბატონი არ დაძრას თფილი ადგილიდგან.

„მოვედით, რათა თაყვანი გცეთ შენ, დიდო ბატონო ჩვენო, და რათა დაგიფაროთ შენ, მწყალობელო ჩვენო, ვინაიდან ყურსა ჩვენსა ესმა განსაცდელი შენი და თფილსა ადგილსა შენსა მოელის წყეული «ოკინკალი» იგი“, შებღვლებენ ჯახები-შინაყმები ჯახ-ბატონს. ჯახ-ბატონიც დაირტყამს მუცელზე ხელს, დაიჭერს ჯახათ ერთ იმათგანს ხელში და უპასუხებს მათ:—მე ვარ უფალი ბატონი თქვენი თფილსა ადგილსა, ე. ი. „მოღვაწეობასა“ ჩემსა დიახ რომ მოელის «ოკინკალი». წადით თქვენ და დაჰკარით საყვირი, შესძარით ყოველი კუთხე ქვეყნისა, რომ, ვითომ, ბადალი ჩემი არ მოიპოვება მთელს დედამიწისა ზურგზე. წადით და იზრომეთ, მაქეთ და მადიდეთ და მით შემარჩინეთ ადგილი ესე თფილი, რომლითა თქვენცა თბებით, ჩემო ყურმოჭრილო შინაყმანო! და წავლენ ყურ-მოჭრილად შინაყმანი, აქებენ და აღიდებენ „მოღვაწესა დიდსა“ და შეარჩენენ თფილსა ადგილსა სადიდებელად საქართველოისა!

* * *

და ანაირათ ბატონობენ ბატონი—ჯახები და ჯახობენ ჯახები—შინაყმები. ხოლო ამ უკანასკნელათ შეიძლება იყოს როგორც სულიერი ადამიანი, ისე უსულო ქალაღდიც, რომელსაც უნდა ასულიერებდეს ჯახი-შინაყმა. ქალაღდსა ამას ეწოდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და გამჯახებელსა მისსა სპექტატორი. ამ გაზეთის ჯახ-ბატონს, ქიათურის ფაშას, თუ რომ ვინმემ კრიტიკულის თვალთ შეხედა და საქმესა მისსა საგმიროსა ვერ შეასხა ქებათა-ქება, არამედ უქნა «ოკინკალი», ამოიღო ქიათურის შავ-ქვაში დამალული და გამოამხეურა „ცნობის ფურცელი“ დაკრავს ბუქსა და ნალარას, შეჯდება ჯორზე და გადმდსახებს ცასა და ქვეყანას: რაც ჩვენ ჯახ-ბატონზე, დიდ მოღვაწე ფაშაზე მოგახსენეს, სულ ტყუილია და ქორია, ფაშა თავდადებული მოღვაწეა, ფაშას ბადალი არა ყავს და სხვა და სხვა შინაყმურ ლათაიებს, რომლებშიაც ლიტონი ფრაზებისა და მონური გრძნობის მეტი არა არის რა.

და თუ კი რომ რომელიმე ჯახმა შინაყმამ ჯახ-ბატონს ფაშას, ქებათა-ქება შეასხა, „ცნ. ფურცელი“ სიხარულიანგან აღტაცებული, მაშინვე ამოიღებს ქებათა-ქებიდან იმ ადგილს, სადაც უფრო მეტი გუნდრუკის კმევაა და თავის ფურცლებზე დაბეჭდავს: აი, შეხეთ ჩვენ ფაშას როგორ აქებენ და აღიდებენ!. იწამეთ ის დიდ, ქემმარტ მოღვაწეთ და არა... დიახ, „ცნობის ფურცლის“ ქიათურის ფაშისადმი მონობას არა აქვს საზღვარი და ანაირათ:

„ცნობის ფურცელი“ შექნიდა
ქიათურის ფაშის ჯარი,
სითაქუნც გაჭკრავს ფაშა დეხებს,
იქით მისტის რედაქტორი,
და მას მისდევს „ქუდ-მადლეტით“
კიტა-რგანელ-სპექტატორი!...

* * *

და რატომ არ უნდა მისდევდნენ ქუდ-მოღლეტით კი არა, თავმოღლეტითაც ისეთს გმირს, რომელმაც ქიათურაში ყოფილ კრიზისს კუდით ქვა ასროლინა! იმდენათ შორს მჭვრეტელი აღმოჩნდა ბ-ნი ფაშა, რომ თუ წინეთ 7—8 კაბ. ასაღებდნენ ფუთ შავ ქვას, დღეს ბაქნების უქონლობით და ბ-ნ ფაშის „დიდი ნიქის“ წყალობით, ფუთი ქვა 4—5 კაბიკი ღირს...

რატომ არ უნდა აბატონებდნენ ისეთ გმირს, რომელმაც ქიათურას საუცხოვო გზები გაუკეთა, იმდენათ საუცხოვო, რომ კარგ გზას შეუჩვეველ მრეწველებს იმდენათ ეუცხოვათ ეს გზა, რომ საბჭოს თხოვნით მიმართეს: მეტის მეტათ მშვენიერი გზაა კადავართის გზა, ამ გზით სამ მილიონამდე ფუთი ქვა გადმოგვაქვს და, ნუ დაგვლუბავთ კაცს, ცხენებმა მეტის მეტათ მოკრიანებულს და გასპეტაკებულ გზაზე ფეხი ვერ მოიკიდეს. მართალია გზების შესაკეთებლათ ყოველ წლიურათ უზომო ფული იხარჯება და 80,000 მანეთამდე გადადებულია ყოველ წლიურათ გზებისათვის, მარა არც ნამეტარი ვარგა! გთხოვთ კადავართის გზა შეაფუქოთ!

რატომ არ უნდა სცემდნენ თაყვანს ისეთ გმირს, რომელმაც ქიათურას ისეთი საუცხოვო საავათმყოფო შესძინა, რომლის მსგავსი ძვირათ მოიპოვება დედა-მიწაზე და რომელსაც როგორმე ავათმყოფმა თუ თავი დაახწია, ასე იგონებს საუცხოვო საავათმყოფოს: „ერთი რიგიანათ არ გავეძღარვარ, რაც იქანა ვიყავი; ექიმი რომ ქათამს გამოგიწერს, სუფს გაქმევენ, ქათამი კი სადღაც მიფრინავსო; როცა საავათმყოფოში სულითმოდრავ მუშას მიიყვანებენ, ფერშალი გადმოიძახებს: —ეი, შენ ჩემო ძმავო, თუ გებრალევა მაგ ავათმყოფი შენ სახლში წაიყვანე, აქ ადგილი არა გვაქვსო“. თავისუფალი ადგილი თურმე ბევრია, მარა ფაშამ ხომ საუცხოო საავათმყოფო დააარსა და ხომ მოგესხენებათ, საუცხოო საავათმყოფოში ავათმყოფებს არ იღებენ!

რატომ არ უნდა ცემდეს „ცნობ. ფურც.“-ი თაყვანს ბ-ნ ფაშას, როცა ქიათურის სამკითხველო ისე მოაწყო, რომ იმაზე საწყალ სამკითხველოს, ოხურგეთს გარდა ვერსად ვერ იპოვიოთ!..

ღიახ, მართლა რომ თაყვანსაცემია ფაშა!..

* * *

და თაყვანსაცემია ქუთაისის ერთი დიდი, ძალიან დიდი, „თავდადებული მოღვაწე“. ამბობენ, რომ ისიც ბატონი-ჯოხიაო, მარა რასაც იტყვიან, ყველა მართალი ხომ არ არის? არც ის უნდა იყოს დასაჯერი, რასაც გაზეთები სწვრდნენ ქუთაისის საურთიერთო ბანკის რევიზიის შესახებ. წერდნენ, რომ ერთ-ერთ დირექტორს ფრიად საგრძნობლათ უზიდავს სესხათ ბანკიდან ფულები და ბანკს იმით უბრუნებდა სესხს, რომ „подлежить возврату“-ო დააწერდა. და ეს „подлежить“ იმდენათ გაზრდილა, თურმე, რომ რევიზორებს უთქვამთ: „Что подлежит“ „замѣчанію“-ო და კიდევ შეუტანიათ „ზამეჩანაში“: —დირექტორი ამდენი სესხით არ უნდა სარგებლობდეს ბანკიდანო.—ებს, რა იცოდნენ პეტერბურგელმა რევიზორებმა, რომ ჩვენში ის, ვინც ადგილზეა დასკუბებული, „თავდადებულ მოღვაწეთ“ ითვლება..

ნაპერწყალი.

ზინოჩკა.

(მოთხრობა ჩეხოვისა)

ერთი გლეხი-კაცის სახლში ღამეს ათევდნენ მონადირეები. ფანჯრებიდან მთვარე შემოიციქრებოდა, გარეთ ქუჩაზე გილადა გარმონს აწრიპინებდა, ახლათ მოთიბულ თივას, რომ

მელზედაც მონადირეები წამოგორებულნიყვნენ, რადიკალირი უსიამოვნო სუნი ასდიოდა. მონადირეების საბაასო საგანი, რასაკვირველია, ძაღლები, ქალები, პირველი სიგელონი, ხობბები და სხვა ამისთანაები იყო. როცა მონადირეები ქალები ყველა ნაცნობი ქალების შესახებ, როცა ასამდე მაინც სახუმარო ანეგდოტები თქვეს, ერთმა ყველაზე უფრო სხვილმა მონადირემ, რომელიც სიბნელეში ძალიან წააგავდა თივის ძნას და რომელსაც სქელი მთვარ-დიაკვისებური ბოხი ხმა ჰქონდა, ხმა მალლა დაამთქნარა და წამოიძახა:

— რა დიდი საქმეა, ვისმეს რომ ყვარებოდე: ქალები სხვა რისთვის არიან გაჩენილნი, თუ ჩვენც არ შეგვიყვარებენ?! არა, აი ეს მითხარით, ყმაწვილებო, თუ რომელიმე თქვენგანი სძულდება ვისმეს გაგიყებულის, თავ-დავიწყებულის სიძულვილით? არ შეუმჩნევია ვინე თქვენგანს აღფრთოვნებული სიძულვილი? ა?

პასუხი არსაიდან იყო.

— მაშ არავის, ბატონებო? — შეეკითხა კიდევ ბანი. — მე კი ვძულდი, ვძულდი ერთ მშვენიერ არსებას და თვით ჩემ თავზე გამოვცადე ნიშნები პირველი სიძულვილისა. პირველისათქო, ყმაწვილებო, ვამბობ იმიტომ, რომა იგი იყო რაღაც პირდაპირი წინააღმდეგობა პირველი სიყვარულისა. უნდა გამოვტყდე, რომ ის, რასაც ეხლა მოგიტხრობთ, მოხთა სწორეთ მაშინ, როდესაც მე არც სიყვარულის გამეგებოდა რამე და არც სიძულვილის. მაშინ რვა წლის თუ ვიქნებოდი, მაგრამ ეს არაფერია: აქ საყურადღებო კაცი კი არა ქალია. სმენა და გაგონება, ბატონებო. ერთს მშვენიერ ზაფხულის საღამოს, ასე, სამხრობის დრო იქნებოდა, მე და ჩემი გუვერნანტკა, ზინოჩკა, რომელიც, უნდა მოგახსენოთ, მეტის-მეტე საყვარელი და პოეტური ქმნილება იყო და რომელსაც ახლათ ქონდა ინსტიტუტი გათავებული, ვისხედით ოთახში და ვმეცადინებოდით. ზინოჩკა რაღაც დაფანტულათ იცქირებოდა ფანჯარაში და მეუბნებოდა:

— ჰო, ჩვენ ჩვეისუნთქავთ გოლმე მთავ-ბადს; ახლა მი თხარი, პეტეიკო, რას ამოვისუნთქავთ ხოლმე?

— ნახშირ-მთავესა-თქო, მეც ფანჯარაში მაქცერალმა უპასუხე.

— კეთილი, — დამეთანხმება ზინოჩკა. — მცენარეები კი წინააღმდეგ: ჩაისუნთქვენ ნახშირ-მთავეს, ხოლო ამოისუნთქვენ მთავ-ბადს. ნახშირ-მთავეს შეიცავს ზელტერის წყალი და აგრეთვე ნახშირის ბოლი... იგი ძლიერ ცუდი გაზია. ნეაპოლის მახლობლათ არის ეგრეთ წოდებული ძაღლის გამოქვაბული, რომელშიაც ბევრია ნახშირ-მთავე. იქ რომ ძაღლი შეაგდო — ერთ წუთსაც ვერ გაძლებს: მაშინვე ფეხებს გაჭიმავს.

ეს უბედურ დღეს გაჩენილი ძაღლის გამოქვაბული ნეაპოლის მახლობლათ სწორეთ ის ქიმიური სიბრძნეა, რომელსაც ჯერ ვერ გასცილებია ვერც ერთი გუვერნანტკა. მართალია, ზინოჩკა ძლიერ მომხრე იყო ბუნების მეტყველების მეცნიერებისა, მაგრამ, მეექვსემა, ამ გამოქვაბულზე მეტი რამ ცოდნოდეს მას ქიმიასი.

ზინოჩკამ მიბძანა გამემეორებია. მე გავიმეორე. შემდეგ მკითხა, — რა არის ჰორიზონტიო. უპასუხე. გარეთ კი, სანამ ჩვენ ამ გამოქვაბულს და ჰორიზონტს ვდევავდით, მამა-ჩემი სანადიროთ ემზადებოდა. ძაღლები ყმოდნენ, ცხენები მოუთმენლათ ფრუტუნებდნენ და მეჯინიბეებს ეალესებოდნენ, ბიჭები ეტლში თოფრაკებს და რაღაც-რაღაცებს ალაგებდნენ. იქვე მეორე პატარა ეტლი იდგა, რომლებშიაც სხდებოდნენ დედა და დები ივანიკისთან დღეობაში წასასვლელათ. შინ დავრჩით მხოლოდ მე, ზინოჩკა და ჩემი უმფროსი ძმა, რომელიც

მელსაც კბილები სტკიოდა. შურმა და მოწყენილობამ შეიპყრო მთელი ჩემი არსება!..

— ე... რას ჩავისუნთქავთ ხოლმე?— შემეკითხა ზინოჩკა ისე, რომ ფანჯრისათვის თვალი არ მოუშორებია.

— მჟავ-ბადს...

— მართალია, ხოლო ჰორიზონტი ქვია იმ ადგილს ანუ იმ წრეს, სადაც ჩვენა გვეგონია, თითქო დედა-მიწა ცას უერთდებოდა...

ორთავე ეტლები გაექანენ... მე კარგათ შევამჩნიე, ზინოჩკამ ამოიღო ჯიბიდან რაღაც ბარათი, ათრთოლებულის ხელით მაგრათ ჩაქმუქნა, ჩაიკრა გულში, შემდეგ საათს დახედა და ერთბაშით აენთო.

— გახსოვდეს კარგათ, — მითხრა ზინოჩკამ, — ნეპოლში ვგრეთ წოდებული ძაღლის გამოქვამულია... — ერთხელ კიდევ დახედა საათს და განაგრძო: — სადაც ჩვენა გვეგონია, თითქოს დედამიწა უერთდებოდა ცას... საბრალო საშინელი აღლევებული იყო, გაიარ-გამოიარა ოთახში და კიდევ დახედა საათს. გაკვეთილის წათევებამდი ნახევარი საათი მეტი იყო.

— ეხლა ანგარიში — მითხრა ზინოჩკამ, რომელიც ძლივს-ლა სუნთქავდა და ათრთოლებულის ხელით ფურცლავდა წიგნს. — გააკეთე № 325 ამოცანა, და მე კი... მე ეხლავე დაგბრუნდები...

ამ სიტყვებით გარეთ გამოვიდა. კიბე საჩქაროთ ჩაირბინა, შემდეგ ეზოში თვალი მოვკარ იმის ვარდის-ფერ კაბას, მაგრამ მალე ბალის ქისკარს მიეფარა. მასმა აჩქარებულმა მოძრაობამ, არა ჩვეულებრივმა სიწიოლემ და აღლევებამ ცნობის-მოყვარეობა აღმიძრეს. სად ან რისთვის მივბოდა ჩეტავი? რადგანაც ჩემ წლოვანებასთან შედარებით ბევრათ უფრო ქვიანი ვახლდით, საჩქაროთ მოვისაზრე რაშიაც იყო საქმე: ალბათ ბაღში იმიტომ მივბოდა, რომ უნდოდა ესარგებლებია ჩემი ფიციხი მშობლების შინ არ ყოფნით და შეპარულიყო ბაღში; ან შეიძლება ბალის დასაკრფათ მიეჩქარება. ასეა, ვიფიქრე მე მამეშვიკმა წამილოს, თუ ბალი მეც არ ვიგემო! მივაგდე წიგნი და სოკურცხლე ბალისაკენ. შევირბინე ბლებში, — ვერავინ ვნახე. გავირბინე ბაღსა, დარაჯის ქოხი, გავიხედე იქით და — რას დანახავ: გაფითრებული ზინოჩკა მიდის ტბისაკენ და შევლის ნუკრივითა კრთება მცირეოდენი ხმაურობისაგანაც კი. მალეით მის უკან ვავიბარე, ყმაწვილებო, და შემდეგი დავინახე: ტბის ნაპირზე, ორ უშველებელ ტირიფებს შუა დგას ჩემი ძმა-საშა; სახეზე სრულებითაც არ ეტყობოდა კბილების ტკივილი. საშა ზინოჩკასაკენ იქიარება და მთელი მისი არსება ბედნიერებისაგან მხესავითაა გაბრწყინებული. საბრალო ზინოჩკა! თითქოს ძალათ დენიან ძაღლის გამოქვამულში და მჟავ-ბადს ასუნთქებინებენო, ისე მიდიოდა საშასაკენ: ფეხებს ძლივს მბიჯებდა, მძიმეთ სუნთქავდა და თავი მალლა აეწია... ეტყობოდა საპაემოთ პირველათ მიდიოდა. მაგრამ, აი მივიდა... ნახევარი წუთი ჩუმათ მისჩერებოდენ ერთმანეთს, თითქოს თვალებს არ უჯერებენო. უეცრივ ზინოჩკას თითქოს რაღაც ფარულმა ძალამ ზურგში ხელი წაჰკრაო, საშას ხელი მხრებზე ჩამოადო და თავი გულზე მიაცრდნო. საშა იცინის, რაღაცას გაუგებრათ ლულულედებს, შემდეგ უშნოთ, როგორც ეს მეტის-მეტათ შეყვარებულებმა იციან ხოლმე, ორივე ხელეზით შეიპყრო ზინას ლამაზი ღოყები... მშვენიერი ამინდია, ყმაწვილებო... გორაკი, რომელსაც წყნარათ მზე ეფარება, ორი ტირიფი, მომწვანებული არე მარე, ცა — ყველა ეს საშათი და ზინოჩკათი გაღამაზებულნი ტბაში მოსიანან. საამო სიჩუმეს არაფერი არღვევს. ჰაერში უთვალავი ოქროს ფეროვანი და ცქელ ულვაშებმა პეპლები დაფარფატებენ, ბაღს იქით ვილაც ჯოგს მიერეკება — ერთი სიტყვით, საუცხოვო სურათი იყო.

ნახულიდან მე მხოლოდ ის გავიგე, რომ საშა და ზინოჩკა ერთმანეთს კოცნიდენ. ეს კი უწესოებაა და უზრდელობა. თუ გაიგო inamau, ორივეს მოხედება ამისთვის. რაღაც, ჩემდა უნებურათ, შემრცხვა; იღარ მოუცოდო შექმნის გათავებას და შინ წავედი სახლში ამოცანას მოვკიდე ხელი და ფიქრსა და მოსაზრებაში გავერთე. ჩემს სახეზე ძლივეა მოსილი ღიმილი ციმციმებდა. ერთის მხრივ, სასიამოვნოა, როცა სხვისი საიდუმლოება იცი, მეორე მხრივ, ძლიერ სასიამოვნოთ მიჩნებოდა ისიც, რომ იმისთანა ავტორიტეტებს, როგორც საშა და ზინოჩკა იყვნენ ჩემთვის, ყოველ წუთში შემოძლია უკიყინო უბრალო ზრდილობა-წესიერების არ ცოდნაც კი. ეხლა ისინი მაგრათ ჩავბოქვე ხელში და მათი სულის სიმშვიდე სავსებით დამოკიდებულია ჩემს სულგრძელობაზე. ეხლა ვაჩვენებ მე იმათ თვალის სერის!..

როცა დასაძინებლათ წავედი, ზინოჩკა ჩვეულებისამებრ შემოვიდა ჩემ ოთახში იმის გასაგებათ, დაწოლის წინ ვილოცე თუ არა ღმერთი და ან გაუხთელი ხომ არ დავწოლივლივარ ლოჯინში. შევხედე მის ლამაზ სახეს და გავიღრიქე. საიდუმლოება არ მასაგნებდა — გამოამყლავნებას თხოულობდა. მინდოდა მიმეხვედრებია, რომ ვაჩა და ეფექტით დავმტკბარიყავი.

— მე ვიცი! — წამოვიძახე და გავიღრიქე. — ხი, ხი!

— რა იცი?

— ხი-ხი-ი! ხომ დავინახეთ, შენ და საშა როგორ კოცნიდით ერთმანეთს ტირიფებთან. უკან გამოგყვეი და ყველაფერი დავინახე...

ზინოჩკა შეკრთა, თავით ფეხებამდის გაწითლდა და მოსხლეტილი იქვე სკამზე ჩამოჯდა, რომელზედაც წყლით სავსე ჭიქა და შანდალი ეწყო.

— ხომ დავინახეთ, ერთმანეთს რომ... კოცნიდით... — ღრეკით გავიმეორე მე ღა თან მისი შეწუხებით სიამოვნებასა ვგრძნობდი. — ჰო! მოიცათ, ჯერ უთხრა დედას! — სულ-მოკლე ზინოჩკამ დაშტერებით დამიწყო ყურება და, როცა დარწმუნდა, რომ მე არა ვხუმრობ მართლაც ყველაფერი ვიცი, სასოწარკვეთილეთამდის მიღწეულმა მტაცა მაჯაში ხელი და ათრთოლებულის ხმით შევდეგი მითხრა:

— პეტეკო, ეს სისაძაგლეა... ღეთის გულისათვის გვევდრები... შემობრალე... ნურავის ეტყვი... პატროსანი ხალხნი არ ჯაშუშობენ... ეს სისაძაგლეა, საზიზღრობაა... გევედრები!

საბრალოს ტყვიასავით ეშინოდა დედა ჩემის სათნოებით აღსავსე, მაგრამ სასტიკი ხასიათისა — ეს ერთი; მეორეც ჩემი დაღრეჯილი ღრუნჩი უქვეყლია შეურაცხყოფას აყენებდა მის პირველ სხეულს და პოეტურ სიყვარულს, და ამიტომ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მისი სულიერი მდგომარეობა. ჩემი წყალობით მთელი ღამე არ დამინებია საწყალს და დილას ჩაღურჯებული თვალეზი ქონდა... ჩის შემდეგ შეეხვდი საშას, ვერ მოვითმინე რომ არ გავღრეკილაყავი და დამეტრბახა:

— მე ხომ ვიცი! მე ყველაფერი დავინახე, გუშინ საღამოს რომ კოცნიდი ზინოჩკას! საშამ ამაზე გულ-გრილათ მიპასუხა:

— ტუტუცი ხარ! — ის უფრო სულგრძელი გამოდგა, ვინემ ზინოჩკა, და ამიტომ ეფექტი ვერ გამოვიდა კარგი. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გამაღიზიანა. თუ საშამ ყურიც არ გააბერტყა, სჩანს იმას არა სჯერა, რომ მე ყველაფერი დავინახე და ვიცი; მაშ, კარგი, რახან ასეა, აწი მე ვიცი!

მეცადინეობის დროს ზინოჩკას სრულებით ჩემთვის არ შემოუხედიდა და ენა ებმებოდა. დატუქსვის მაგივრათ — მეფერებოდა, მისვამდა კარგ ნიშნებს და ცეცქობისათვის მამასთან აღარ მბეჭდებდა. დიდის გონიერებით ესარგებლობდი ზინოჩკის საიდუმლოებით! როგორც მინდოდა ისე ვიქცეოდი:

გაკვეთილებს არ ვსწავლობდი, სამაცადინო ოთახში ყირამალა დავიარებოდი და ყველას შეურაცხყოფას ვაყენებდი. ერთი სიტყვით, ასე დღემდის რომ გამეგრძელებინა, უეჭველია მშვენიერი შანტაჟისტი გამოვიდოდი. ამნაირათ გაიარა ერთ-მა კვირამ. სხვისი საიდუმლოება ეკალივით მჩხვლეტდა და მალიზიანებდა. მაინც-და-მაინც მინდოდა მეთქვა რე მოხდენილი შთაბეჭდილებით დავტყპარიყავი. და აი, ერთხელ, სადილზე, როცა ბევრი სტუმარი გვყავდა, ტუტუტურად გავიღრიქე, უკმეხათ შევხედე ზინოჩკას და წამოვიყრანტალე:

— კი ვიცი მე... ხი-ი. თვითონ დავინახე...

— რა იცი?— შემეკითხა დედა.

მე კიდევ უფრო ურცხვით გადავხედე საშას და ზინოჩკას. უნდა დავგნახათ, როგორ ანთო საწყალი გოგო და როგორი ბრაზიანი თვალებით გადმომხედა საშამ!.. მაშინვე ენაზე ვიკბინე და ჩაფრდი. ზინოჩკა თანდათან გაყვითლდა, მოკუმა პირი და ლუკმა აღარ გაუშინჯავს. იმ საღამოსვე, მეცადინეობის დროს, შევამჩნიე, რომ ზინოჩკას სახე საშინლად გამოცვლოდა. სახეზე მკაცრი და ცივით მრისხანე გამო-მეტყველება ემჩნეოდა, თვალები რაღაცნაირათ პირ-და-პირ მე მომჩერებოდნენ და, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არასოდეს არც თვით მწვერებისათვის შემომჩნევია ამისთანა სასტიკი გამო-მეტყველება, როცა იგინი მგელს მისდევენ! ეს გამო-მეტყველება კარგათ გამოირკვა ჩემთვის, როდესაც მან შუა მეცადინეობაში კბილების ხრტილით მითხრა:

— მეზიზღები! ო, რომ იცოდე შე საძაგელო, საზიზღარო რანაირათ მეჯავრები, როგორ მეზიზღება შენი მოკრეჭილი თავი, შენი უსინდისო პანტურა ყურები!

მაგრამ შემკრთალმა მაშინვე წამოიძახა:

— არა, ამას შენ კი არ გეუბნები,—როლსა ვსწავლობ.

შემდეგ, ყმაწვილებო, მახსოვს ღამე მოვიდა ჩემ ლო-გინთან და დიდხანს მიცქეროდა. მეტის-მეტათ ვძულდი და ამიტომ აღარ შეეძლო უჩემოთ ცხოვრება. სჩანდა აუცილე-ბელი შექნილიყო მისთვის ჩემი სახის ცქერა, რომელიც მას ასე ძლიერ ეჯავრებოდა. თორემ, მახსოვს, მშვენიერი ზაფხულის საღამო იყო... თივის სუნი იღვავა, სიჩუმე იყო და სხვა ამისთანები. მთვარე ანათებდა. მე დავსეირნობდი ხეი-ვანში და ალუბლის მურაბაზე ვფიქრობდი, უცებ მოვიდა ჩემთან გაყვითლებული, კოპწია, ღამაზი ზინოჩკა, მომკიდა ხელი ხელზე და აღელვებულის ხმით მითხრა:

— ო, რა რიგ მეჯავრები! არავის იმდენ ცუდს არ უსურვებდი, როგორც შენ! გესმის თუ არა! მე მინდა, რომ კარგათ გაიგო ის, რასაც გელაპარაკება!

გესმით, ბატონებო! მთვარე, გაფითრებული, გრძობით აღვზნებული პირის სახე, სიჩუმე... და წარმოიდგინეთ კიდევაც მესიამოვნა. ყურს უგდებდი და თან თვალებში მივჩერებოდი... პირველათ ყველა ეს მეუცხოვა და მესიამოვნა კი-დეც, მერე შიშმა ამიტანა, შემდეგ ერთი შევკივლე და კის-რის ტეხით მოვკურცხლე სახლისაკენ.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ყველასა სჯო-ბია mamai-თან ჩივილი. მე უჩივლე და სიტყვაში ისიც გა-მოურჩე, თუ საშა და ზინოჩკა როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს. რასაკვირველია სულელი ვიყავი და არ მესმოდა, რა შედე-გიც მოყვებოდა ამას, თორემ საიდუმლოებას არავის გაუმე-ლაფებდი... mamai როცა გაიგო ყველაფერი სიბრაზისაგან ერთი წამოწითლდა და მათხრა.

— შენი საქმე არაა ამებზე ღაპარაკი. ჯერ შენ კიდევ ბაღლი ხარ... მაგრამ, ეს როგორი მაგალითია ბავშვებისათ-ვის!

mamai არამც თუ მარტო სათმოიანი, არამედ მოხერხე-ული ადამიანიც იყო. რომ აყალმაყალი არ მომხთარეყო,

ზინოჩკა ნელა-ნელა სისტემატიურათ გააძევა სახლიდან. ისე საზოგადოთ, როგორც აძევებენ ხოლმე ყველა პატიოსანს, მაგრამ არა სასურველ ადამიანებს. მახსოვს, როგორც ზინოჩკა მიდიოდა, უკანასკნელათ შემოხედა ჩემ ფანჯარას და შეხედა ბით, მისი თვალების გამომეტყველება დღესაც კი მახსოვს-

ზინოჩკა მალე შეერთო ჩემმა ძმამ. ეს თქვენი კარგი იცნობი ზინაიდა ნიკოლაენა გახლავთ. მას შემდეგ, როცა იუნკერი ვიყავი, ზინას ხშირათ ვნახულობდი ხოლმე. ასე გა-სინჯეთ, ვერაფერის გზით ვერ წარმოედგინა, თუ მე,—ულ-ვაშებ გაპრეხილი იუნკერი,—ის საზიზღარი პეტეკო ვი-ყავი. მაგრამ მაინც ვერ მიპილო ისე, როგორც ნათესავს შეეფერებოდა... აი, თუნდ ეხლაც, მიუხედავით ჩემი უწყინა-რი სიბელატისა, მშვიდი ფაშვისა და წყნარი სახისა, ეხლაც კი რაღაც გვერდზე მიცქერის და, როცა იმათთან ვარ ხოლ-მე, თავს უხერხულათა გრძნობს. სჩანს სიძულვილიც ძნელი დასაფიწყია, როგორც სიყვარული... ჩუ! მგონი, მამალმა იყივლა. ღამე ნებისა! მილორდ, წადი ალაგზე დაეგდე!..

სიმ.

ჭიათურის შავი ქვა.

(Вѣстникъ Горнаго Дѣла и Орошенія на Кавказѣ. № 19. წერილი როინელისა.)

მკითხვნლებმა აღბათ კარგათ იციან, თუ რადიდი ეკო-ნომიური მნიშვნელობა აქვს ჭიათურის შავ ქვას ქუთაისის გუბერნიისთვის. 15—20 წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ჭიათურაში ეს წარმოება დაიწყეს და ამ ხნის განმავლობაში მისი წარმოება 3 მილიონ ფუთიდან 40 მილიონზე ავიდა. (1885 წელს 3 მილ. ფუთ. ხოლო 1900 წელს 40 მილიო-ნამდე შავი ქვა ამოიღეს).

ეს იშვიათი წარმატება შავი ქვის წარმოებისა აიხსნება თვით ჭიათურის მადნის ღირსებით და მისი ადვილი დამუშა-ვებით. ღირსებით ჭიათურის მადანი „პიროლიუზოტიანი“ ანალიზით ის შეიცავს 50—57 % წმინდა ლითონს (მეტალს) საზოგადო სრქე მადნისა 5—8 ფუტამდეა. 126 კვადრატ-ვერსზე ვრცელდება მისი არსებობა.

პროფესორი ნ. დ. კაცოვსკის დაახლოვებითი გამოანგა-რიშებით მთელი მადნის რაოდენობა უნდა უდრიდეს 6 1/2 მილიარდ ფუთს.

ამ რიგათ რომ მივიღოთ ყოველ წრიურათ 30 მილი-ონი ფუთი შავი ქვა ამოვიღოთ მაშინ ჭიათურის რაიო-ნი მსოფლიო ბაზარს ეყოფა 217 წელიწადი. ესციფრი აშკარათ გვიჩვენებს თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოვექ-ცეთ მრეწველობის აღორძინებას და მის კანონიერ ექსპლო-ტაციას. როგორც ვიცით ამ მადანს უმთავრესათ ახმარებენ ფოლადის გამოყვანას და ვინ არ იცის ფოლადის დიდი მნი-შვნელობა მსოფლიო ინდუსტრიაში. დღევანდლამდე ჭიათუ-რის შავი ქვას ხარჯავდა უმთავრესათ: ინგლისი, ჰოლანდია, გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, რუსეთი და ჩრდილო-ამერი-კა. საყურადღებოა, რომ შავი ქვის მოთხოვნილება რუსეთსა და გერმანიაში ყოველ წლობით იზრდება. ჭიათურაში შავი ქვის ფასი 5—8 კაპეკამდე აღის ხოლმე დაკლებით (скидка) 15—20%; ფოთში კი წმინდა წონით ფასობს 16—23 კაპ. თუ სახეში რომ მივიღებთ მისი ამოღება ჯდება ფუთზე: 2—3 კაპ, მოტანა 2—4 კაპ. იჯარა—1/2—1 კაპ. მეთვალ ყურის და დამტკიცების 1/2—1 კაპ. კანტორის 1/2—1 კაპ. გამო-ღის რომ ფუთი ჯდება 5 1/2—10 კაპ. ანუ საშუალო რიცხ-ვით 7 3/4 კაპ.

ეს ციფრები გვიმტკიცებს რომ მწარმოებელმა არამც თუ თვითონ მოიგოს რამე, არამედ პირ იქით უნდა დაადვას თავისიც. ნუ თუ ეს ასეა? ნამდვილათ კი სულ სხვაა.

მწარმოებელმა, რომ ფუთზე ნახევარი კაპეიკი მოიგოს ამისათვის იმან უნდა იხმაროს ათას ნაირი ხრიკები, უნდა მიიღოს უკანონო ზომები, ამას აძლულებს მას მსოფლიო ბაზარზე ფასის დაცემა, შეუფერებელი უზომო რკინის გზის ტარიფი, (38 ვერსზე მიაქვთ ფუთზე 7 კაპ. წინათ მიქონდათ 10 კაპ.) და გაუმადლობა ჩარჩებისა და ექპორტერებისა, რომელთაც სხვა და სხვა ხაფანგებით ხელთ იგდეს ქიათურის რკინის გზის საწყობები, გაახსნეს კრედიტები, მოაბირეს ვეროპის ბაზარი. აი ესენი გაბატონდნ და დაებატონდნ მთელ საშინაო ბაზარს. აი ამ ვაჟბატონებმა მოამწყვდიეს თავიანთ ბადეში ადგილობრივი წარმოებლები და ისინი უკარნახებენ მაზანდას! გამოიგონეს „სკიდები“ „ბრაკოვეები“ და სხვა „უმანკო ხრიკები“.

რომ მივიღოთ სახეში უკანასკნელ წლებში გატანილი 25—28 მილ. ფუთი ყოველ წლიურათ და მასთან საშუალო მაზანდა ფოთში 20—22 კაპ. ფუთზე გამოვა რომ შავი ქვის მრეწველობას დაუტრიალებია 5—6 მილიონ მანათი. გამოღიძიოთ სად მიდის ეს ფულები. დიდ ძალი ნაწილი ამ ზორბა ციფრისა მიაქვს ამიერ კავ. რკინის გზას, რომელიც ფუთზე ქიათურიდან ფოთამდე გადასაზიდს ანგარიშობს 10 კაპეიკამდე. მხოლოდ მარტო ქიათურის შტოზე 38 ვერსის მანძილზე რკინის გზა ღებულობს ყოველ წლივ 1 1/2—2 მილიონ მანათს მაზინ, როცა თვით შტოს გაყვანაზე და მის მოწყობაზე მთელათ დახარჯულია 800,000 მანეთი.

არა მკონი სადმე დედა მიწის გულზე კიდევ არსებობდეს ასეთი ტარიფი. დანარჩენი ფულებიდან 1.250—1.400 ათას მანეთამდე ხმარდება დაკმაყოფილებას 400—500 მწარმოებლის და მადანთა მებატონის აგრეთვე 7—8.000 მუშების, ჩაღვადრების, კანტორშიკების, ტეხნიკების, ზედამხედველების და სხვების. მთელი დანარჩენი ჯამი 2—2 1/2 მილიონი მანეთი ჩადის 40—50 ჩარჩის და ექსპორტერების გაუმადლარ ჯიბეში. აქედან ცხადათ ჩანს, რომ ისინი ვის კისერზედაც არის დამსარებული მძიმე შრომა წარმოებისა ძლივს ღებულობენ მთელი შემოსავლის მეოთხედ ნაწილს. ის რამოდენივე ვაჟბატონები, რომლებიც სხვის შრომით ზურგს იმაგრებენ ღებულობენ მთელი შემოსავლის მესამედზე მეტს. შეუძლია თუ არა ასეთ პირობებში წარმოება გავითარების გზას დაადგეს და ქვეყანას ნაყოფი მოუტანოს? ამის მსჯელის დაუება თვით მკითხველისთვის მიგვინდვია! ახლა განვიხილოთ თუ რა ხდება თვით მადნებში. მიუხედავათ იმისა რომ ტეხნიკების, შტიეგერების და ზედამხედველების რიცხვი საკმაოთ არის, გარდა იური სამი ფირმისა ყველა გვირაბებში წარმოება ადამისეულია.

ბევრს გვირაბებში პირდაპირ ბარბაროსულათ ამუშავენ შავი ქვით. მეტადრე მოიჯარადრენი, რომელნიც დროებით მეტს იღებენ, მაგრამ იმის შეგნება კი არა აქვთ რომ საუკუნოთ აფუჭებენ სხვის მადანს.

ქიათურის სანიტარული მოწყობილობა ყველა ოდნავ განათლებულ ადამიანს დააღონებს. შავი მტვერი ქარის დროს, მუხლამდე ტალახი ავდრის შემდეგ, ბევრი ფანარი რიცხვით, მაგრამ სრული სიბნელე და უსინათლობა, მყარალი სუნნი ზამთარ-ზაფხულ, უწმინდური სადგომები, საძაგელი სასტუმროები, პარიჟელი სიძვირე აი რა მეფობს შავი ქვის წარმოების სამრეწველოში, საცა მილიონობით წარმოებაა. არა უკეთეს მდგომარეობაში იყო ამ უკანასკნელ ორ წლამდე ქიათურის საავადმყოფოც.

— ნუ თუ ქიათურაში არ აჩსებობს არავითარი დაწესებულება, რომელიც ზრუნავდეს ქიათურის კეთილდღეობაზე, მწარმოებელთა და მუშათა ცხოვრების განკარგვაზე? იკითხავს მკითხველი.

როგორ არ არის! არის ასეთი დაწესებულება და მის ეწოდება „საბჭო ქიათურის შავი ქვის მწარმოებელთა კოეპისა“. ხსენებულმა საბჭომ უნდა იზრუნოს ყველაფერი ვასწიოს—სისრულეში უნდა მოიყვანოს კრედიტის მრეწველთა აგრეთვე ის უნდა იყოს შუამავალი უმაღლეს დაწესებულებაში. აგერ ექვს წელიწადზე მეტია მას აქვთ, რაც ეს საბჭო არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სამწუხაროთ არაფერი გაუკეთებია მიუხედავათ იმისა, რომ მისი შემოსავალი უდრის 120—140,000 მანმთს. ეს ჯამი გროვდება ფუთზე ნახევარი კაპეიკიანი გადასახადით. ასეთი სხვილი თანხით ისეთ პატარა ადგილას, როგორიც ქიათურაა კაცს შეეძლო სასწაულები მოეხდინა. მიზეზი ასეთი უმოქმედობისა და საქმის გულგრილობის არის ის, რომ საბჭოს სამყოფი არის ქუთაისში და ამ რიგათ საბჭოს წევრნი მოწყვეტილი არიან ქიათურაზე და მაშასადამე ადგილობრივ საქაროებას ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

საბჭოს უნაყოფო მოქმედებას სხვათა შორის ახსიათებს ის, რომ ამდენ ხანს სისრულეში ვერ მოუყვანია მესამე კრების გარდაწყვეტილება შესახებ იაფი სასადილოების გამართვისა, რომელსაც მოუნდებოდა 1—2000 მანეთამდე. ამაზე დახარჯეს 70,000 მანეთი, როცა კრებისაგან ამ საგნისთვის გადადებული იყო მხოლოდ 8,000 მანეთი. (იხ. труды III съезда Чкат. м. промыш.) და ეს შენობა საბჭომ „ავოკონომით—შინაური საშუალებით“. ახირებულია, გზის შეკეთება და ახალის გაყვანაც სწარმოებს „შინაური საშვალეებით“; იხარჯება ბლომათ ფულები და შედეგი კი სამწუხარო მოსდევს. ყოველივე ეს არ დარჩა შეუნიშნავი მესამე კრებას და კიდევაც იქნა ოქმში აღნიშნული.

ამავე სხდომაზე გადაწყვიტეს: საბჭო გადატანილ იქმნას ქუთაისიდან ქიათურაში. ეს დადგენილება სამინისტრომ უკვე დაამტკიცა, მაგრამ სისრულეში კი არავინ მოიყვანა. რათა რისთვის? ეს გამოცანაა და მაგ გამოცანას ისევ საბჭოს თავმჯდომარე მ. ზდანოვიჩი თუ ახსნის, თორემ სხვა ვერავინ.

მსოფლიო ბაზარში კრიზისი ბუნებრივი მოვლენაა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, გამანადგურებელია, მაგრამ აუცილებელი კი არის, მეტადრე ეხლანდელ სოციალურ პირობებში. ხშირმა შავი ქვის კრიზისმა ძლიერი გავლენა იქონია ქიათურის შავი ქვის მრეწველთა ეკონომიურათ დაქვეითებაზე.

საკოდავი ქიათურლები 1894 და 96 წლების კრიზისისაგან წელში არ იყვენ გამართული, რომ მათ ეწვია 1900 წლის კრიზისი, (წინა წლებზე უფრო აუტანელი), რომელიც თითქმის ეხლაც ჰქინვარებს. ეს უბედურება გამოიწვია მსოფლიო ინდუსტრიამ და ფინანსის კრიზისმა, რომლის წნალობითაც დაიხურა მრავალი ქარხნები და გაკოტრდა ევროპის შესანიშნავი ბანკები.

მართალია ამ უკანასკნელ თვეებში შავი ქვის მოთხოვნილებამ იმატა, მაგრამ ფასი იმდენათ მცირეა, (9—9 1/2 პენი ერთ მეტალზე ტონში За единицу металла на тону)

შედარებით ზღვის ფრახტთან (15—16 მილინგი ტონზე), რომ მწარმოებელს ხელს არ აძლევს ამ პირობებში გაყიდოს შავი ქვა. უმთავრესი მიზეზი შავი ქვის ასე ფასის დაცემის არის ბრაზილიის შავი ქვა, რომელიც თავის ღირსებით, სიიფით, ადვილი დამუშავებით და გატანით ისე იაფი ჯდება, რომ ქიათურის შავი ქვა მას მეტოქეობას ვერ უწევს მსოფლიო ბაზარზე. ერთი ფუთი შავი ქვის გადაზიდვაში 468 ვერსზე ესე იგი მადნიდან რიო—დე—ჟანეირომდე ბრაზილიელები აძლევენ რკინის გზას მხოლოდ 4 კაპ. ჩვენში კი ქიათურლები 38 ვერსის „გახრავინებაში“ სწაპნიან 7 კაპ. ესე იგი 21 1/2 ჯერ მეტს.

ასეთ პირობებში განა წარმოსადგენია ქიათურის შავი

ქვა მრავალ კონკურენცია გასწიოს? ამასთან ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მსოფლიო ბაზარზე თან და თან ეცემა შავი ქვის ფასი. აი რას უნდა მივაქციოთ ჩვენი უმთავრესი ყურადღება და თუ არ გვინდა გავაქროთ მრეწველობა, უნდა ვეცადოთ რკინის გზის ტარიფის დაკლებას. 10—7 კაპეზე ტარიფის ჩამოყვანამ ამ სამის წლის წინათ შემოსავალი გაზარდა 1.175.317 მანეთიდან 2.289,450 მანეთამდე. ე. ი. 1.114,133 მანეთით (იხ. საბჭოს მოხსენება სამინისტროსადმი)

სამწუხაროა, რომ საბჭოს თავმჯდომარე ბ. ზდანოვიჩმა არ ისარგებლა მოხერხებული შემთხვევით და არ წარუდგა „სტაროფო კომიტეტს“ პეტერბურგში წარსული წლის 4 დეკემბერს და პირადად არ გააგებინა და არ განუმარტა ყოველივე.

პეტერბურგში წასვლის ნაცვლათ ბ-ნი ზდანოვიჩი სხვა საქმეებისა გამო წავიდა ბერლინში და პეტერბურგში იმ დროს მივიდა, როცა ყოველივე გათავებული იყო. ბ-ნმა ზდანოვიჩმა მხოლოდ კომიტეტის გარდაწყვეტილება მოისმინა, რომლითაც აცნობეს უარი საბჭოს თხოვნაზე.

გაქირვება—კაი მასწავლებელიაო“ ამბობს ანდაზა და მართალიც არის. გაქირვებამ და შიმშილმა კაცობრიობას წინ წაადგმევინა ბიჯი და გააღვიძეს მასში აზროვნება და გამოიწვიეს სხვა და სხვა გამოგონებანი.

აი ამ გაქირვებამ და კრიზისმა წარსულ წელში შეაერთა ქიათურის წვრილი შავი ქვის მწარმოებელნი რიცხვით 190 კაცი და დაარსებინა ერთი დიდი ფირმა „შავი ქვა“. ეს ფირმა ბერლინში მან განა—სინდიკატს შეეკრა პირობით აძლიოს ყოველ წლივ 20 მილიონი ფუთი შავი ქვა.

საბჭოს მიერ გამოცემული სტატისტიკური ცნობებიდან (1900 წ.) ვტყობილობთ, რომ ქინთურის შავი ქვის მრეწველნი, რომელთაც სამთო გამგეობისაგან აქვს მოწმობა, ირიცხება 290 კაცი. ამათში 188 კაცი წვრილი მწარმოებელია, რომლებიც იღებენ წელიწადში 1000 ფუთიდან 100 ათას ფუთამდე. 88 კაცი საშუალო მწარმოებელია და ამოაქვთ 100—400 ათას ფუთამდე. მსხვილი მწარმოებელი კი 14 კაცია, რომლებიც ასაღებენ 400 ათასი ფუთიდან ერთ მილიონ ფუთამდე და ხან მეტსაც.

პროცენტული დამოკიდებულება იმათი ამგვარია: წვრილი და საშუალო 95 0/0, მსხვილი, მხოლოდ 5 0/0. ნამდვილი რიცხვი კი წვრილ მწარმოებელთა აღებატება 188 კაცს და მათი რიცხვი აღის 300 კაცამდე. მწარმოებელთა სიაში არ მოყვენ იმის გამო, რომ მაშინ არ ქონდათ შესაფერი ნებართვა.

ამ მწარმოებელთ აქვთ ერთი ან ორი პატარა გვირაბი. პატარა მადნის ნაგლეჯში—საკუთარი ან იჯარით აღებული მსხვილი მწარმოებელისაგან. მადნის ამოღებას არ სჭირდება სპეციალური ცოდნა და არც დიდი საწარმოო თანხა. ამ გარემოებამ შექმნა ცხოვრებაში წვრილი მწარმოებელნი და ქიათურის მრეწველობას მისცა ხასიათი par excellence-საშინაო წარმოებისა.

გუშინდელი მუშა ან ჩაღვადარა დღეს წვრილ მწარმოებელთა რიცხვშია. განსხვავება დიდი არ არის და არც ძნელი მისაღწევია.

საბჭო და კრება ყველა მეტათ უნდა ზრუნავდეს მუშების და წვრილ მწარმოებლების ბედზე, მაგრამ პირველი ორი კრება უმთავრესათ შესდგებოდა მსხვილ მოსულ მრეწველთაგან, საბჭოს ყველა წევრიც სწორეთ იმათგან არიან არჩეული იმათაგანივე. ამისათვის გასაკვირი არ იქნება რომ საბჭო თავიანთი მომავლინებელას სურვილს ემსახურება—იცავს ინტერესებს მსხვილ მწარმოებლებისას. კრების დებულებებში ემუშავებულია მათგან. მხოლოდ ამ ორი წლის წინათ

ნათ მესამე კრებას დაეტყო გამოცოცხლება, რადგან ამ კრებაზე პირველათ მიიღეს მონაწილეობა წვრილ და საშუალო მრეწველებმა და თავიანთი თავი სხვებსა და მსხვილ მოსულ მრეწველებს უნდოდათ თავიანთი ინტერესების მიენიჭებინათ იგივე უფლებები, რაც მსხვილ მწარმოებელთ აქვთ, ე. ი. იაფი კრედიტი, საწყობები (ბაქანი), გზა და სხვ. ამ მიზნის მისღწევათ იმათ შეიტანეს და კიდევ გაიყვანეს პროექტი ბაქნების და ვაგონის განაწილებისა. ამ პროექტს მტრულის თვალთ შეხედეს და მის წინააღმდეგ ამხედრდენ მსხვილი მწარმოებელნი და თვით საბჭოც.

გამოითხოვეს ნება-რთვა სამინისტროსაგან, პროგრამაში შეეტანათ განსახილველათ ორი კითხვა: 1) კრედიტის შესახებ და 2) საბჭოს გადატანა ქიათურაში. ორივე ეს კითხვა დიდი ხმის უმეტესობით ოპოზიციის სასარგებლოთ გადაწყდა.

ამ რიგათ ქიათურაში დაარსდა ბანკი. მაგრამ საუბედუროთ ის ჩაუფარდა ხელში მოწინააღმდეგე პარტიას. ოპოზიციამ მხარი დაუჭირა საბჭოს მოხსენებას საპენსიო კასის დაარსებაზე, საავათმყოფოს აგებაზე, და მუშათა დაზღვევაზე. ამასთანავე ოპოზიციამ აღძრა და კიდევ გაიყვანა კითხვა კვირაობით მუშათა დასვენებასა, სახალხო თეატრისა, საკვირაო სკოლისა და იაფი სასადილოების მოწყობის შესახებ.

იმედია რომ ეს სიმპატიური ოპოზიცია მეხუთე კრებაზედაც წამოაყენებს სხვა და სხვა კითხვებს მუშათა და მწარმოებელთა ცხოვრები გაუმჯობესების შესახებ.

როგორც უკვე ვიცით, სამინისტროსაგან მეხუთე კრების ნება უკვე აღებულია და უნდა მოხდეს 20 ოქტომბერს. სასურველია, რომ შავი ქვის მრეწველთა სიები წინ და წინ იქმნეს შედგენილი სისწორით, რომ მერე არ დარჩეს საჭირო მისი შესწორება და დამატება.

სასურველია აგრეთვე, რომ ეს სიები, კრების პროგრამა, საბჭოს მოხსენება და სტატისტიკური ცნობები, მოხსენება სარევიზიო კომისიისა და უმთავრესათ საბჭოს მოქმედების და ფულის ანგარიშის შესახებ წიგნათ დაიბეჭდოს და დაურიგდეს ყველა შავი ქვის მწარმოებელს, ორი კვირის წინ მაინც კრებამდე; ამით ყველას საშვალეება ექნება წინ და წინ გაეცნოს გასარჩევ საგნებს და კრებაზე მომზადებული მოვიდეს.

იმედია, რომ კრების საბჭო იმ შეცდომებს აღარ გაიმეორებს, რომლებიც მას მოუვიდა მესამე კრებაზე. მხოლოდ კრების სხდომის დროს დაარჩევს მესამე მეოთხე დღეს სქელი ანგარიში საბჭოს მოქმედებისა. რასაკვირველია კრების წევრნი არამც თუ ანგარიშს არ გაცნობიან და მისი საბუთები არ შეუმოწმებიათ, არც კი წაუკითხავთ ის. ამისათვის იმათ საშუალეება არ ქონდათ საქმეში შეეტანათ სერიოზული კრიტიკული შენიშვნა. ყველა ეს ოპოზიციის მიერ შენიშნულ იქმნა და ოქმში შეტანილი (იხ. труды III съезда) ვიმეორებთ ერთხელ კიდევ, რომ საბჭო ვალდებულია თავის დროზე დაამზადოს ყველა საჭირო ქალაქები: მოხსენებანი, სიები, ანგარიშები და ორი კვირის წინ დაურიგოს ყველა მწარმოებელს აგრეთვე მსურველს საშვალეება მისცეს გაეცნოს ყველა საქმეს და ქალაქს საბჭოსას.

ოხ, მებოზარო, განა დამბოვი?

(ხმა ჯიჟღერებისა)

...დამბოვირას სტაროფო გულისა,
აღარ დამეცეს ტრეპლი მწუხარის...

ნ. ბარათაშვილი.

შენ?!... შენც მილალატე?! შენც უარმყავი და დანადგე მარტო?! ვერაგ მტრებს თითქოს შენც გამარჯვება წინ დაუხატე?!.. განა არ იცოდი, ჩემო კეთილო სულო, ვით არიან

ისინი ჩემის შერყევისა და დაცემის მოწყურნე?!—ტანჯვას ტანჯვები რათ წამიმატე?... ამას მოველოდი მე შენგან?!... ვით გიცნო შენ ამაში?! ეს ისე არ არის შენებური, ვითარცა იუდას ამბოროი ქრისტესებური!...

ჩემგან იბრუნე პირი შენ, რომელმაც, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, უცხო ქვეყანას უკან გამოძევე და შუაზედ მიყოფდი ქირსა და ლხენას!... შენ, რომელიც ჩემს მტარვალ მტრებს მედგრათ ებრძოდი არა ჩემ ნაკლებს. შენ არ აღუდექე მათ თავდასულობას, შენ არ დაუდექე მათ წინ, როცა ისინი არა ერთხელ უკანასკნელ ოთახს—საწოლსაც— აღარ სტოვებდნენ თავიანთი ქუჭკიან ხელ-ფეხების შეუხებლად!... დამსწარ მე, უთხარი მათ მართალი და მაგარი სიტყვა... და ვერ შეგაშინა მათმა მუქარამ: ჩემთან ერთათ თავს არ იზოგავდი, თითქოს მოგინდა ბნელი სავანი...

ჩემგან მოშორებული მარტო-მარტო ბავშვთან,—არ დაცემულხარ სულით და მეხათ და ლახვრათ ხედებოდა შენი სიტყვა მოთილისმე და მოშურნე მტერს, როცა ეს პასუხებს და ჩვენებას გთხოვდა... შენ არ ითხოვდი მათგან უფლებით ჩემს თავისუფლებას, რადგან ყოველ გვარ კანონიერ საბუთებსა და ფორმას მათი ძიება მოკლებულ იყო?!.. როს შენს სამართლიან ჩივილზე, რომ მათ შენ და ბოვშს მოსტაცეს არამც თუ გაუცვლელი მეგობარი და ამხანაგი, არამედ ერთათ ერთი მრჩენელ-მშრომელი,—მათმა მთავარმა თავისი ქუჭკიანი ხელის გაწვდენა მოგინდოდა და შემწვობის აღმოჩენა,—მაშინ შენ რა უპასუხე?... ოხ! დაუვიწყარია აქ შენი მოქმედება და სიტყვები ბევრი უცხო ადამიანთათვის, ვინც შემთხვევით იქ დაესწრენ და შენსავით მოსულები იყვენ თავიანთი საქმისა გამო!.. შენ მათ, შენსავით ძალათ დაობლებულ დედებს, დებს, ცოლებს, მამებს ძმებსა და ქმრებსაც კი, არა შენსავით უფლებით მთხოვენლთ, არამეთ ზოგთ თვალთაგან ცრემლას მრფქვეველთ ჩაუდგი გამირული სული: თვალნი შეუშრე, თავი მალა ააწვეინე და წუთიერი თავ-დავიწყებიდან გონს მოიყვანე... შენ უწოდე თავ-აღებულათ, ერთ ხელში ქოლგით, ვითარტა ისარ-ჯოხით და მეორეთი გულზე მიკრული წიგნებ-ქაღალდებით დატვირთული, „ტაღახანა, გასვრაილა“ უწოდე მათ შემწვობას და მათ, ზარ-დაცემულ სულმდებალ და ხელებ-სისხლიან მტრებს განშორდი გარეთ, სადაც გიყურყუტებდა შენი მაშინდელი ერთათ ერთი ბიჯგი-ბიჯი—შვილიყო!... შენი სიტყვები და მთელი შენი აზოგანური ადამიანური მედგარი სელა და ლელოს გატანა ტვინ-დაკარგულ მტრებს და მათ ქალარა მთავარსაც კი შენში სხვებივით სუსტ არსების მომლოდინეს, უეცარ მეხად დაცეათ და თავები ჩაქინდრეს... ხოლო შენმა უცნობმა უცხო მოწმებმა, მარა შენ ბედში მყოფებმადა თანამგრძნობებმა „ვაშა, ვაშა. ქართველო“-ს ძახილით ეზოს გაგა-ცილეს და შენი ამბავი ელოქტრონივით მაშინვე ქალაქს მოფინეს!..

ბევრს უცნობსაც კი—ქალებს და ვაჟებს იმ საღამოს ბინაზე უნახავხართ... მათ შენთვის ქვე-მარტი და-ძმური ხელი შემწვობისათვის გამოუწვდიათ, მარა შენ ტყუილ-უბრალოთ არავინ შევიწუხებია იმ მოსახ-რებით, რომ სხვებისათვის, ჩაგრულ-დაქრილთათვის ის უფრო საჭირო იქნებოდა... და ერთგულმა ჩემის სიტყვისა და გვგამის გამოსწიე სამშობლო მხარეს... მოინახულე დედა და სხვა კეთილი... და შემდეგ მიაშურე დიდ ქალაქს სამშობლო მხარისას, რომ მოგებერებია შენ შენის შრომით თავის დარჩენა და ბავშვის გამოზრდა... და ჩემთვისაც, უფრო უკეთ იმ დიდ ქალაქიდან გედვენა თვალი... არ დაგიღვია თავი,—გონებდი აწი მაინც, აქდენი ხნის ჩემთან ცხოვრებელს შემდეგ, ნუ თუ ვერ შეიძლებდი თავისუფალი შრომით პატიოსნურათ ლუკმის მოპოვებას!.. ვით გიაკვანა. ვით არ მიგილო

დიდმა ქალაქმა სამშობლო მხარის?!... აქ, ჩემო კარგო, ძნელია ჩემთვის წერის განგრძობა... სული მეხუთემა, გული მეწვის,—და თავსა მაწვება მთლიათ ჩემი სისხლი... და მთელი ჩემი არსება ცრემლის ზღვად კი არა, სისხლის ზღვად გადაქცევას ლამის. განა აფორიაქებულ ტანის, შერყეულ სხეულის ერთ ნაწილსა—ხელს—ძალ-უძს თავისუფლათ და მშვიდათ ტარება კალმისა?!... არა, არა და არასოდეს არა!.. მით უფრო, რომ აქ შენს სიტყვიერ აღსარებასა და უკანასკნელ წყვეულ ბედს—უკურნებელ სენს—აქვს ადგილი... და განა შემიძლია მე აქ ახლა მაინც ამის გამოთქმა?!. მეც ადამიანი ვარ. ადამიანი, რამდენიც უნდა ვაძალო თავს!.. და მე შენს დამკარგავს აწინდელი სიცოცხლე არასოდეს არ გამახარებს!.

ოხ! სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე! უშენოა?! შეუფლებელია, შეუძლებელი!... მე მხოლოთ, სანამ ვიბორგებ ამ შეჩვენებულ სოფელ-ქვეყანას, შენს ანდერძს არ დავივიწყებ... კურთხეულ იყოს, კურთხეულ და მარადის კურთხეულ შენისთანა სამაგალსთო ადამიანი შენის სქესისა—ადამიანი—ქალი!... მარა, ოხ, მეგობარო, განა დამტოვე?!...
ბედთან-მებრძოლი.

შილღერის პოეტიის შირიშადი თვისებანი.

თავის ყმაწვილურ სულის ქენჯნას, სასოწარკვეთილებას და უიმედობას შილღერი პირეზიაში გამოთქვავდა ხოლმე, მაგრამ ლექსების წერა აკადემიაში აკრძალული იყო და ნორჩი პოეტი იძულებული იყო, ხშირათ რამით ეწერა; ბევრჯერ ლოგინში თან ჩაიტანდა ხოლმე ქაღალდს და საბანს ქვეშ წერდა ლექსებს. ამგვართა აქვს მას დაწერილი თავისი „ავაზაკები“-ს ზოგიერთი ალაგიც. 1780 წელს შილღერმა გაათავა აკადემია და მიიღო ექიმის მოწმობა. ახალგაზრდა შილღერი დანიშნეს სამხედრო ექიმათ. დაუნიშნეს მცირე ჯამაგირი და ამგვართ მისი იმედი: აკადემიას გავათავებ და მშობლებს დავებმარებიო, შემცდარი გამოდგა: თავისი მცირე ჯამაგირი შილღერს თვითონაც არ ყოფნიდა. მაგრამ შილღერი არ იყო ექიმობისათვის დაბადებული; ამისათვის მას არც ნიქი ჰქონდა, არც ხალისი. 1791 წელს მან გამოსცა თავისი „ავაზაკები“ და ამ წლიდან იწყება მისი საჯაროთ გამოსვლა ხელოვნების ასპარეზზე. აქედან მოკიდებული შილღერი რამოდენჯერმე იყო სხვა და სხვა გაზეთისა და გამოცემების რედაქტორათ, მაგრამ რედაქტორის ნიქს და მოხერხებას მოკლევითი იყო და იმის ხელში ვერც ერთმა გაზეთმა ვერ იხერია.

რედაქტორობამ შილღერს ვაღების მეტი ვერაფერი შეძინა. 1782 წელს. მანჰიმის საუკეთესო თეატრში პირველათ წარმოადგინეს „ავაზაკები“. ახალგაზრდა პოეტი სამსახურიდან უფროსის ნება დაურთავლათ გამოიპარა, რომ თავის პიესის თამაშს დასწრებოდა. პიესამ დამსწრე საზოგადოებაში მთელი არეულობა გამოიწვია: ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, დიდის აღტაცებით მიეგება კარლ მორს; ძველი თაობა კი გაგულისდა და პიესისა და მისი ავტორის წინააღმდეგ ამხედრდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ახალი ახალს ეტრფის, ძველი კი ყოველთვის უკან იყურება და ახალს უარჰყოფს, რაგინდ კარგი იყოს ის. წარმოდგენის შემდეგ ახალგაზრდა პოეტი დაბრუნდა შტუტგარტში, სადაც მსახურებდა. ხოლო ახლა ის იყო უკვე განთქმული დრამატურგი, რომლის გაცნობას, რომელთანაც დაახლოვებას ყველა ნატრობდა, ამ დღიდან მოკიდებული შილღერმა ხშირათ იწყო სამსახურიდან გაპარვა, რაც ნთავარს შეუძნეველი არ დარჩა. ერთხელ მან ახალგაზრდა პოეტი ორის კვირით დააპატიმრა თვითნებობისათვის და შემდეგ გამოუცხადა: რასაც დაწერ-

ყოველისფერი უმაღლესი მე უნდა მიჩვენოვო. შილდერმა მტკიცე ვუარი განაცხადა ამგვარ წინადადებაზე. მაშინ გულმოსულმა მთავარმა აუკრძალა ყოველისფრის წერა, გარდა საექიმო გამოკვლევებისა. ამგვარათ შილდერის სულიერ მოთხოვნისთვის, მის მისწრაფებას მთავარი გადაელობა წინ. ეს დაბრკოლება იმდენათ ძლიერი იყო, რომ შილდერმა გადაწყვიტა ჩუმათ გაპარულიყო მანკივს და ამგვარათ მოშორებოდა მთავარსა შტუტგარტსაც. მალე შილდერმა თავისი განზრახვა აღსრულებაში მოიყვანა და ერთ მშვენიერ ლამეს მიატოვა და შტუტგარტი. მანკივს მისვლისათანავე შილდერმა მიმართა თეატრის დირექციას და წარუდგინა თვისი „ფიესკო“, რომლის დადგმაზეც დირექციამ უარი განაცხადა. შილდერს სხვა სახსარი ცხოვრებისა არავითარი არ გააჩნდა, — იმისი ერთ-ერთი იმედი მისი პიესები იყო. ის მკვირვოდენი ფული, რაც თან გამოყვა სამშობლოდან, შემოეხარჯა მალე და ამიტომ იძულებული გახდა მანკივიდან გადასახლებულიყო მახლობელ სოფელ ბაუერბახში. აქ ცხოვრებამ შილდერს დიდი სარგებლობა მოუტანა. მარტო მარტო მკოფი შილდერი, გულგატეხილი და იმედ დაკარგული ხარბათ დაეწაფა მეცნიერების ყოველ დარგს და თავისი თვითგანვითარება საკმაოთ გააფართოვა. ამავე დროს ის ხელოვნებასაც არა ტოვებდა და თან წერდა ახალ პიესებს, თან მასალას აგროვებდა სხვა პიესებისათვის. მალე თეატრის დირექციამ მიიწვია ის ისევ მანკივში. მთელი წლის განმავლობაში შილდერი დაუღალავათ მუშაობდა თეატრისათვის, დაამზადა ამ დროს განმავლობაში სცენისათვის „ფიესკო“ და „ლუიზა შილდერი“; მაგრამ შემდეგი წლიდან დირექციამ ის აღარ მიიწვია და შილდერი ისევ გაჭირვებაში ჩავარდა. მან განიზრახა ჟურნალის გამოცემა, მაგრამ ახალმა ჟურნალმა მას იმდენი მტერი მოუპოვა, რომ იძულებული გახდა, მანკივს გაეცლოდა. შილდერი გადასახლდა ლეიპციგში, სადაც მას ბევრი თავყვანისმცემელი ყავდა. აქ ის ლიდის აღტაცებით მიიღეს; მალე მან გაიკნო ლიტერატორები, არტისტები და გავლენიანი პირები და მისი ცხოვრების პირობებიც რიგაინათ მოეწყო. აქედან შილდერი გადასახლდა დრეზდენში, სადაც მან ორი წელიწადი დაჰყო. შილდერის ერთ დამახასიათებელ თვისებას მეტათ მოსიყვარულე გული შეადგენდა; უმეგობროთ, უამხანაგოთ ცხოვრება მას არ შეეძლო და სადაც კი გაჩნდებოდა, უსათუოთ უნდა მთებოებია გულითადი მეგობარი. დრეზდენშიაც მთელი ორი წელიწადი შილდერმა ერთ თავის საუკეთესო მეგობართან გაატარა. 1787 წელს შილდერი გადასახლდა ვეიმარში. ვეიმარი ამ დროს ნამდვილი პოეტთა ქალაქი იყო: აქ იყვნენ გერდერი, ვილანდი, გეტე და ვეიმარის მთავარი, რომელიც ლიბერალური მიმართულების და პოეზიის დიდი თავყვანისმცემელი იყო. ვეიმარში პირველ ხანებში შილდერმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია ისტორიას და დაიწყო ისტორიული გამოკვლევების წერა, რითაც მალე მოიხვეჭა არა თუ ნიჭიერი ისტორიკოსის სახელი არამედ ამდენი ფულიც, რომ თავისი დიდი ხნის ვალების უმეტესი ნაწილი გაისტუმრა. ამ გვარ შრომის ისტორიის ასპარეზზე ის შედგვი მოყვა, რომ 1788 წელს ვეიმარის ჰერცოგმა ის დანიშნა იენის უნივერსიტეტში ისტორიის პროფესორათ. სტუდენტობა დიდის აღტაცებით მიეგება ახალგაზრდა პოეტ-პროფესორს. მის ლექციებს მუდამ ბევრი მსმენელი ესწრებოდა, მაგრამ პროფესორობა არ შეესაბამებოდა შილდერის ბუნებას, რომელსაც ყოველგვარი შევიწროება და თავისუფლების შეზღუდვა ეჯავრებოდა. თუ დათანხმდა პროფესორობაზე უმთავრესათ იმიტომ, რომ უბინაოთ სიარული პოეტს მოეზრდა და საკუთარი ოჯახის მოპოების სურვილი დღითი დღე უძლიერდებოდა. 1790 წელს შილდერი დაქორ-

წილდა ლოტტა ლენგე ფელდზე. ქორწინებამ შეიძინა შილდერს ერთგული და მოყვარული ამხანაგი, ქალი და წყნარი ოჯახი. ასე კარგათ, ასე მოსვენებულათ შილდერი თავის სოდეს არა გრძობდა თავს, მასში თითქოს შრომის სურვილი და ძალამაც ერთი ორათ მოიმატა, მაგრამ ბედმა აქც უღალატა პოეტს: მალე მასში თავი იჩინა იმ სენმა, რომელმაც პოეტს ბოლო მოუღო. 1799 წელს შილდერმა თავი დაანება პროფესორობას იენაში და გადასახლდა ვეიმარში. აქ მან ისევ ხელოვნებას მოკიდა ხელი და დაუღალავათ მუშაობდა სცენისათვის გეტესთან ერთათ: ეს ორი პოეტი შილდერის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ერთმანეთის დიდი მეგობრები იყვნენ; შილდერი ისე არაფერს დაბეჭდავდა, რომ უმაღლესი გეტესთვის არ წაეკითხვინებია, აგრათვე გეტეც ყოველ თავის ახალ ნაწარმოებს უმაღლესი შილდერს უკითხვავდა და მის მსჯავრს ისმენდა. შილდერი დაუღალავათ შრომობდა და წერდა ახალ პიესებს: რამოდენმეჯერ ავთმყოფობა იმდენათ გაუძლიერდა, რომ მის მორჩენას აღარ ელოდენ, მაგრამ განგება პოეტს იფარავდა. მუდმივი შრომა მისმა სუსტმა აგებულობამ ვეღარ აიტანა და 1805 წელს 9 მაისს გარდაიცვალა. რას გვასწავლის პოეტის მოკლე ბიოგრაფია? პოეტი იყო ღარიბი ოფიცერის შვილი, დაიბადა ღარიბ ოჯახში, აღიზარდა ისეთ სასწავლებელში, სადაც სასტიკი დისციპლინა არსებობდა; კურსის გათავებისათანავე ის ისევ სამხედრო წესრიგის სისასტიკეს დაუმორჩილეს; მთელი თავისი სიცოცხლე გაჭირვების, სიღარიბისა და შევიწროების მეტი არაფერი გამოუცდია; ბუნებამ მას არგუნა მეტათ მოსიყვარულე გული, მშვიდი და წყნარი ხასიათი. აქედან თავის თავათ ცხადია, თუ რა უნდა ყოფილიყო შილდერის პოეზიის უმთავრესი თვისებანი. მიუხედავათ მრავალი გაჭირვებისა პოეტმა უკანასკნელ ჟამამდე შეიჩინა ღრმა რწმენა და სიყვარული ადამიანისა და ცხოვრებისადმი; მას უყვარდა ადამიანი ყველა მისი ნაკლულეგანებით, ის იყო გულ მხურვალე მოსარჩლე და მფარველი ყოველი გაჭირვებულის. პოეტი დაბადა იმ დროს, როდესაც ევროპაში გვარიშვილობას „სისხლს“ დიდი მნიშვნელობა ქონდა, პოეტი არ ეკუთნოდა „სისხლიანთ“ ნაწილს და თავის პოეზიაში მან აღიარა სრული თანასწორობა, დაგმო ტრადიციები და ჩამომავლობითა და გვარის მიხედვით კაცის დაფასება; პოეტი აღიზარდა ისეთ პირობებში, სადაც გამეფებული იყო ყოველგვარი შევიწროება და თასუფლება სრულებით უარყოფილი; ახალგაზრდა პოეტი გამოვიდა თავისუფლების აღფრთოვანებულ მქადაგელათა და დამცველათ. სიყვარული ადამიანისადმი, თანმსწორობა და თავისუფლება — აი უმთავლესი საგანი შილდერის გულწრფელი და მასთან განუსაზღვრელი რწმენითა და იმედით აღჭურვილი პოეზიისა. (შემდეგი იქნება).

მეხუთე ვახტანგ მე-VI-ს კანონები და ქართული ქალი *).

(გაგრძელება).

ჩვენ ასე თუ ისე გამოვარკვიეთ, როგორი უფლებებით იყო აღჭურვილი ქართველი ქალი დედ-მამის თუ ქმრის ოჯახში; ამ მხრივ ჩვენ ვპოვეთ თვით კანონ-დებამში არა ერთი და ორი ძვირფასი მასალა. ხოლო სულ სხვაა ქართველი ქალის საჯარო უფლებანი; მათ შესახებ კანონ-მდებელნი თითქმის არაფერს გვეუბნებიან. მიუხედავათ ამისა, ჩვენთვის დიდ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ის, თუ რა იყო ქართველი ქალი საზოგადოებაში, ჰქონდა თუ არა მას უფლება გარე-

* იხ. „კვალი“ № 40.

ოდა საზოგადო საქმის მართვა-გამგეობაში და სხ. მე-XIX-ე საუკუნე მით იყო სხვათა შორის შესანიშნავი, რომ მან პირველად აღიარა ადამიანის პიროვნების სიწმინდე, მისი შეუღლებლობა; თვითოეული ადამიანი, მიუხედავად მის წოდებრივ-საზოგადოებრივ მდგომარეობისა, ცნობილ იქმნა თვით-მიზნათ, მაშასადამე ძველესობი წარმოდგენა ადამიანზე, როგორც საშუალებაზე, საშუალოდ გამოიღო იქმნა. ჩვენ აქ ვერ შევხვებით, თუ რა მიზეზებმა გამოწვეეს ეს უნივერსალური შეხედულება ადამიანის ღირსებაზე განათლებულ ქვეყნებში, ვიტყვით ჩხოლოთ იმას, რომ ეს საერთაშორისო გონებრივი მოძრაობა დაედო საბაბათ თვითოეული ადამიანის ემანსიპაციას, აქედან „ქალთა ემანსიპაციამ“ დაიჭირა მართლაც რომ დიდ-მნიშვნელოვანი ალაგი თანამედროვე რთულ ცხოვრებაში.

ხშირათ გვესმის ხოლომე, რომ საზოგადოთ „ქალთა ემანსიპაცია“ აღიარებულ იქმნა საქართველოში კიდევ მე-X-II-ტე საუკუნეში. როგორც ვიცით, ამ მოსახრებას აფუძნებენ ჩვენი დიდებული პოეტის შოთა რუსთაველის შემდეგ სიტყვებზე: „აღეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია“. უნდა გავტყდეთ, რომ ეს მოსახრება შემცდარი და გადაქარბებულია. დროც, განვთავისუფლდეთ ასეთ ვიწრო პატრიოტულ შეხედულებათაგან და უფრო კრიტიკულათ შევხვით ჩვენი ერის წარსულს. მე-XII-ტე საუკუნეში საქართველოში უკვე გაბატონებული იყო ფეოდალური წეს-წყობილება, ხოლო ასეთს ხანაში დედა-კაცის და მამა-კაცის თანასწორობაზე ქადაგება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ფეოდალიზმი და საზოგადოთ სქესთა ურთიერთშორისი თანასწორობა ორი ერთი მეორის დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე შემცრებებანი არიან. იმ ეპოქაში, როცა ფიზიკურ ძალ-მომრეობას უპარველესი ალაგი ეჭირა ერის ცხოვრებაში, შეუძლებელია ითქვას, რომ ისეო სუსტ არსებას, როგორც არის ქალი, რაიმე გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივს მოვლენებზე. უეჭველია, მეფე თამარის გენიოსურ ქუთა-გამჭრიახობას ადვილად შეეძლო მოეხიბლა თანამედროვე პოეტი, მეტსაც ვიტყვიო, შოთა რუსთაველს თამამათ მეფსლო ეთქვა, რომ თამარი არაფრათ ჩამოუვარდება მამა-კაცსო, შეეძლო თამარის სახელით საზოგადოთ ექო, ედიდებინა ქალი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რუსთაველი ქადაგებდეს დედა-კაცის სრულ თანასწორობას მამა-კაცთან. ნუ დავივიწყებთ, რომ მთელი მისი პოემა აკინძულია სიყვარულს ჰანგებზე და ქალიც ამ მხრავ უფრო აინტერესებს მას.

რაც შეეხება თვით ფეოდალურ საზოგადოების წარმოდგენას, ცხადზე უცხადესია ის ფაქტი, რომ ქართველი ქალი წარმოდგენს ამ მხრავ მამა-კაცის მონა-მორჩილ ქმნილებას. ქალის პიროვნება საშინლად დამცირეულია, ის წარმოდგენს მხოლოთ საშვალეებას მამა-კაცის ძვალში; ქალის ასპარეზი განისაზღვრება მხოლოთ ოჯახით, მის გარეთ მას არა აქვს არავითარი უფლება. ასეთი პირობები, რასაკვირველია, იწვევენ არა სასურველ შედეგებს: ქალის გონებრივი ჰორიზონტი ნამეტანი ვიწროა, ის ვერ არჩევს საზოგადო მოვალეობას კერძო-პირადი მოვალეობისაგან, ხშირათ მოხდება ამ მიზეზი ი ის, რომ ქალი გაცილებით მალო აყენებს თავის ოჯახის ინტერესებს მთელი ქვეყნის ინტერესებზე. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ქართველ ქალს სრულიად არ მიანდა თავისი მდგომარეობა არა ნორმალურათ, პირ-იქით იგი თვითონ აღიარებდა მამა-კაცის უპირატესობას როგორც ოჯახში, აგრეთვე საზოგადოებაში. განა ცოტაა ახლაც ჩვენს დალოცვილ სამშობლოში ისეთი ქალ-ბატონები, რომელთაც პირ-

დან დორბლი მოსდით „ქალთა ემანსიპაციის“ გავლენაში? მეორე უმთავრეს დანიშნულებას ქალისას ფეოდალურ ეპოქაში შეადგენს მამა-კაცის სქესობრივ ლტინულობის კმაყოფილება. ფეოდალი სახავს თავის იდეალათ „მამა-კაცის წარბა ღამაზე“ ქალს... ამის დასამტკიცებლათ საკმარისია გავისენოთ თამარის შესხმა ჩატუხადისაგან: „თამარ წყნაოი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პარ-მცინარი; მზე-მცინარი, საჩინარი, წყნარი, მქნარი, მომდინარი“... ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ფეოდალნი-რაინდნი დიდის მოწიწებით ვაყრობოდენ ახალგაზდა და ღამაზე „სეფე-ქალს“; ხშირათ ისინი განგებ ვარდებოდენ საშინელ განსაცდელში, რომ თავი მოეწონებიათ თავის სათაყვანებელ „ხატისათვის“. ხოლო ეს ფაქტი მოასწავებს ქალის უმწვერვალოესათ დამცირებას ზნეობრივათ. ვეჭვობთ, რომ ჩვენმა ინტელიგენტ ქალებმა შენატრონ თავიანთ დების ბედ-იღბალს ამ მხრავ. რაც შეეხება ქალის ქუთას, ეს მხარე სრულიათ არ აინტერესებდა ფეოდალთ; არავინ მათგანი არ ფიქრობდა, რომ ქალს შეეძლია ოჯახის გარეთ რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთება, პირ-იქით ყველანი იმას ფიქრობდნენ, რომ ქალს არა აქვს არავითარი უნარი საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობაში.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ. *)

სრულიათ შემთხვევით გავიგე დღეს, რომ მეც ცხლებავარ მატყვეული იმათ რიცხვში, რომელთაც კენჭი იუარეს კვირას, ნაკადმბერს, ზივულ საარჩვენო ხაწადში. კალათ კრატს გამოვცხხად, რომ ზირველმა აჩვენა მამისთან შთაბეჭდილება იქნია ჩემზე, რომ მეორეთ კენჭის ურას ვრატხდა ყოვლიათ მოუხენსებათ და სრულიათ უადგილათ; ამის გამა დდათ გამიკვირდა, რომ ბ-ნ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს უნებება ჩემ ნება დაურთველათ, ჩემის უუთის დადგმა. უბრალო ზრდილობა შოთისაგან, ჯერ ჩემი თანხმობა კვირას, და მეფისე მთელიათე კენჭის ურას მსურველთა საში. დღევანდლამდე მე თთილისში არ ვაზღვით და შემთხვევა არ მქონდა აქაური გასეთება წამკვირთხა, და თუნდ რომ აქაც, ქალაქშიც, ცხლებადით, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს უნდა სცდინდა, რომ უველას არა აქვს შედლება იქნისის ის გასეთები, რომელშიც იგი ბეჭდვას თავის განკარგულებას, და, მაშასადამე, ვაღდებულისა სხვათრავ აჩინობის მათ, კისაც იგი განკარგულებას შეუხება.

ბ. ი. ალექსიევი-მესხივი.

თფილისი 7 ოქტომბერს 1902 წ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

სასწავლებელი და პანსიონი.

სამკუღაიშვილისა

ვერა, სლებცოვის ქუჩა, № 13. ზემეფლის აფთიექის მახლობლათ.

ამხადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხვ.). იქვე ამხადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთს გამოცოთა (переэкзаменовки).

*) ვბებდავთ ამ წერილს ბ. ი. ალექსიევი-მესხივის თხოვნისა მებრ.